ალექსანდრე ფრონელი.

მთის არწივი ფაქელი

ტ ფ ი ლ ი ს ი
1914 წ.

ჟურნალ „ქლდიხ“ გამოცემა.

ელექტ.-მბეჭდავი ს.ფ. ლოსაბერიძისა, მოსკ. ქ. საკ.სახ. № 5

ფრონელი

ფსევდონიმია შესანიშნავი მოქალაქისა, ისტორიკოსისა, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძისა (1862 1916). მათი საგვარეულო სოფელ საღილაშენი ადინარე ფრონეს პირზეა გაშენებული, სწორედ აქედან აიღო ალექსანდრემ თავის ფსევდონიმად — ფრონელი. მისი უფროსი ძმა იყო გრიგოლ ყიფშიძე. ილია ჭავჭავაძის თანამშრომელი და „ივერიის“ საქმეთა გამგებელი და შემდეგ მისი. რედაქტორიც. ძმათა ყიფშიძეთა მამა მღვდლად მსახურობდა სოფელ წვერში (მაშინ გორის მაზრა). სადაც 1862 წლის იანვარში დაიბადა ვაჟი, რომელსაც სახელად უწოდეს ალექსანდრე. მისი პირველი სასწავლებელი. იყო გორის სასულიერო სკოლა. საიდანაც გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. დაამთავრა კი ვიმნაზია. რის შემდეგაც სარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ისწავლა.

საშინაოლოში ყოფნებულს მას უნდოდა მასწავლებლობა თბილისის როგორიმე სასწავლებელში. მაგრამ მაშინ მიღებული წესის მიხედვით. მას როგორც ქართველს. საჯალხო განათლების მზრუველმა („პოპეჩიტელმა“) ვერ მოუძებნა აქ მასწავლლის ადგილი. რისთვისაც ალექსანდრე იძულებული იყო ემსახურა სხვადასხვა დაწესებულებაში (საგუბერნიო სამმართველოს მდივნად. საგლეხო საქმეებულოს მდივნად. მომრიგებელ შუამავლად ახალციხეში. საგუბერნიო სამმართველოს მრჩევლად. ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწედ. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა დეპუტატთა საქმეებულოს მიწათმოქმედებისა და მოწყობის კომისიის მდივნად). საშოხელეო სამსახურს ბევრი დრო მიჰქონდა. მაგრამ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. პრესაში მონაწილეობას. ორგანიზატორულ და პრაქტიკულ მუშაობას ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“. „კლდე“. „საქართველო“) მაინც ახერხებდა. წერდა ისტორიულ მიმოხილვებს. სწავლობდა და აკვეყნებდა წერილებს საქართველოს ქალაქების ეკონომიურ მდგომარეობაზე. სოციალურ უკუღმართობათა შესახებ საქართველოში. აქტიური თანამშრომელი იყო „ივერიისა“ დაწყებული 90-იანი წლებიდან. მისი მრავალ საგაზეთო წერილის მიზანი იყო დაცვა ქართული მიწა-წყლისა. რათა იგი არ გადასულიყო არაქართველთა მფლობელობაში. დაცვა იმ ქართული მოსახლეობისა. რომელიც ისტორიულ უკუღმართობათა გამო სხვ. საარწმუნოების გავლენაში იყო მოქცეული (ქართველი მაჰმადიანები. ქართველი გრიგორიანები...). წერდა თურქ-ოსმალთაგან მიტაცებულ საქართველოს პროვინციების მოსახლეობის ეროვნულ და ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელი ჭეშმარიტი პატრიოტი იყო, ილია ჭავჭავაძის საქმიანობის ერთგული გამავრცელებელი და გამგრძელებელი, ქართველი ეროვნული მოღვაწე.

მის მრავალრიცხოვან ნაწერთა შორის ყურადღებას იქცევს დიდი თუ მცირე კორესპონდენციები საქართველოს უახლესი ისტორიის დარგიდან. მისი დაკვირვებისა და ანალიზის მასალა იყო საქართველოს პოლიტიკური დაახლოვება და ურთიერთობა რუსეთთან, ამ უკანასკნელის წარმომადგენელთა მუშაობის მიზანი და სტილი საქართველოში 1801 წლის შემდეგ. ქართული სამეფო საგვარეულოს წევრთა ბედი და ყოფა-ცხოვრება XIX საუკუნის დასაწყისში. ქართული მოსახლეობის ვითარება რუსთაგან ანექსიის დაწყების წლებში. ალექსანდრე ყიფშიძე თავისი გამოკვლევებისათვის იყენებდა ოფიციალურ საბუთებს. საარქივო და სტატისტიკურ ცნობებს. კავახეთსა და იმერეთში (ახალციხესა და ქუთაისში) სამსახურისას სწავლობდა იმ საბუთებს. რომელთაც ეყრდნობოდა თავის ისტორიულ მიმოხილვებში. მისი ნაშრომები „მთიულეთი 1804 წელს". „კახეთის ამბოხება 1812 წელს". „დიდებული მესხეთი" და მათ შორის „მთის არწივი შამილი" ეყრდნობა ოფიციალურ საბუთებს. გადმოცემებს. ხალხის ხსოვნას.

ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელი გარდაიცვალა 54 წლისა. დასაფლავებულია დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ალექსანდრე მირიანაშვილი, აგრეთვე ქართველი საზოგადო მოღვაწე და ახლოს მცნობი ფრონელისა. წერდა: „დასაფლავების დროს ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა ალექსანდრეს საქებრად და სადიდებლად. ყველა სიტყვის დედა-აზრი ის იყო. რომ განსვენებულის სახელი ამიერიდან ჩაიწერება წარჩინებულ და სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებულ პირთა სიაში და იქნება დაუვიწყარი" („ნაკადული". № 6. 1916 წ.).

ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელის საქმენი და ღვაწლი. მიძღვნილი მშობლიური ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ და სასიყვარულოდ. მართლაც არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს!

ხოლომონ ხუციშვილი

ალექსანდრე ბატონიშვილი.

მთის არწივი შამილი.

(ისტორიული ამბავი).

25 მარიამობისთვეს, ზაფხულის მიწურულებში (1909 წ.), ტფილისში დაბანაკებულ რუსის მხედრობამ ფრიადის ვამოჩინებით იდღესასწაულა ორმოცდა ათის წლის თავი გუნიბის აღებისა და შამილის დატყვევებისა. პარაკლისის გადახდით და სამხედრო მხიარულობით კავკასიის ძლევამოსილმა ჯარმა განაახლა თვის ხსოვნა-ვონებაში მისთვის ის ნეტარ-ხსენებული დღე, ოდეს თვის წინაშე მოახრევინა ქედი ფოლადის გულის კაცს, საბელოვან მთის არწივს იმამ შამილს, იმ შამილს, რომელსაც მამულისშვილობაში მთელ მეცხრამეტე საუკუნოს ჩვენში სწორი და ბადალი არა ჰყოლია.

დღევანდელი ცხოვრება-ვითარება სადღესასწაულოს არას წარმოადგენს. გული მკვდარია ცხოვრების სიავით, ხოლო სული წამებული და ტანჯული. თუ გამარჯვებულს და გაბატონებულს სამხიარულო არა მოეპოვება რა, დაჩაგრულს და პატივ-ახდილს სწორედ თავი აქვს ჩასაქოლი ჟამთა-ვითარების სიდუხჭირისაგან. მიუხედავად ამისა ჩვენი დედა ქალაქი მაინც აჰყვა ჯარის ფეხის ხმას. საღამოს პირზე ტფილისელობა მრავლად მოეფინა მიხეილისა და გოლოვინის პროსპექტებს, სტკბებოდა საუცხოვო განათებით და პირმცინარი და მხიარული მიიწევდა სახაზინო თეატრისაკენ, რომლის კედლებზე გამოე-

ფინათ სურათი მთავარ-სირდალ თ. ა. ი. ბარიათინსკისა და ფრთა-მოტეხილ, დაღონებულ და დაძმარებულ შამილისა.

I

შამილის დატყვევება.

განა და რა მოხდა ისეთი ამ ორმოცდა ათის წლის წინად, რომ რუსის მხედრობამ საჭიროდ ჩასთვალა ედღესასწაულნა გამოჩინებით, შედლუხითა და ზეიმით, ამ ამბის ორმოცდა ათის წლის თავი?

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს საქართველოს ისტორიამ პირი იბრუნა. პოლიტიკურად გასაძლიერებლად და მოსაღონიერებლად ჩვენმა წინაპრებმა მოიპატიჟეს ჩრდილოეთიდან რუსები. მათის აქ მოსვლით ქართველ მეფეთ და სამღვდელოებას ენებათ შინ გლახად წარმოებული საქმე გამოეტრიალებინათ, განმტკიცებულიყვნენ ძალ-ღონით და ევლოთ ისტორიის სარბიელზე ძველებურად, ესე იგი დამოუკიდებლად, ვითარცა ჭკუა-გონება გაუჭრიდათ. მოლოდინი არ გამართლდა და ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა.

რუსის მხედრობა მკვიდრად დაბინავდა საქართველოში. ვინც-კი ხმა ამოიღო, თავი გაუგალეს, ან ციმბირის გზა ატკეპნინეს, და ბოლოს ამავე ქართველების შემწეობა-დახმარებით მთელი ამიერ-კავკასია დაიმორჩილეს მოკიდებული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და დარიალის კარიდან მდინარე არეზამდე. მხოლოდ კავკასიის მთა დიდ ხანს არ იხრიდა ქედს. მედგრად გადაეღობა წინ ბუმბერაზ ქვეყანას ერთი მუჭა მთიელობა და მთელი ნახევარი საუკუნე კოკის პირულად ჰლვრიდა სისხლს, ოღონდ-კი შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ძველებური სილაღე. ნელ-ნელა იცლებოდა სისხლისაგან ურჩი და ჯიუტი მთა, წელში გასწყდა არისტოკრატული ტომი ყაბარდოსი, შიმშილის პირზე მიდგა საჩაჩნო, საჩერქეზო ოსმალეთს გადიხვეწა, ხოლო ავარიამაც თითი მოიგრიხა. ოცდა ათი წელიწადი იბრძოდა საოცარის მხნეობით შამილი, იმამი საჩაჩ-

ნოსი და ავარიისა, ანუ დაღესტნისა, ერთხელ გულიც გაუგმირა რუსის ხიშტმა, ძუძუში დაკრულმა პირი ბეჭებში გაატარა, მაგრამ ბევრჯელ დამარცხებული ხელახლა იკრებდა ძალ-ღონეს და ახალის მხნეობით ეკვეთებოდა რუსებს. ბევრი შავი დღე აჩვენა შამილმა რუსის მხედრობას, ბევრს ვაჟ-კაცს აუტირა ცოლ-შვილი და დედ-მამა. ბევრჯელ ასობით და ათასობით ამოუჟლეტნია რუსის ჯარის-კაცნი და ერთხელ თვით მთავარ-სარდალი რუსის მხედრობისა თავადი ვორონცოვი ცოტას გაწყდა კინაღამ ტყვედ არ წაიყვანა.

მეტის-მეტად სძულდა შამილს რუსობა, ისე არ ახსენებდა ამ ქრისტიანე ერის სახელს, რომ ზედ არ დაეყოლებინა „დონღუზი“. უპირო და გაუტანელიაო, ამბობდა შამილი რუსებზე, კაცი ვერ ენდობა მაგათაო. მოგატყუებს, გიღალატებს და პირში ჩალა-გამოვლებულს დაგტოვებსო. ამისათვის შამილმა აუტეხა რუსებს ბრძოლა ულმობელი და სასტიკი. ასეთი ომი ღვთის მოსაწონი საქმეაო, ამბობდა შამილი. რუსის ბელით მოკლული მართლ-მორწმუნე მოსლემინი პირდაპირ სამოთხეში შეეაო, ჰფიქრობდა და ჰქადაგებდა შამილი. რადგან ამაზე დიდ ჯილდოს ადამიანი ვერც-კი წარმოიდგენს, მაშასადამე დღენი თვისი მოსლემინმა რუსებთან ბრძოლაში უნდა დალიოსო, რომ მით მოიპოვოს სასუფეველი და გახდეს ღირსი სამოთხის ნეტარებისაო. აი სწორედ ამ დაუძინებელ მტერს შემოარტყა რუსის მხედრობამ ალყა გარს გუნიბის კლდეზე 25 მარიამობისთვეს 1859 წელს. მთავარ სარდალ თ. ა. ი. ბარიათინსკიმ ბრძანება გასცა —ათას თუმანს ვაჩუქებ ჯილდოს, ვინც შამილს ცოცხალს მომგვრისო. რაღა თქმა უნდა, რომ აკუწულ-აჩეხილი შამილი, ან ხიშტით განგმირული სამხედრო ტროფეად არ გამოდგებოდა. ტყვე შამილი პეტერბურგში ისეთსავე ეფექტს მოახდენდა, როგორც ძველ რომში აზიის სხვა და სხვა მეფენი ტრიუმფატორთა ეტლზე მიბმულნი.

შამილი კარგად ჰხედავდა კარზე მომდგარ უბედურობას, ხედავდა იმასაც, რომ მისი ბედის ვარსკვლავი მოსწყდა, ციცაბო და სალი კლდენი ვეღარ დაიფარავდნენ მთის თავისუფლებას. სამღვთო და წმინდა ომში გასწყდა და გაიელიტა საჩაჩნოს და ავარიის ვაჟკაცობა. სადღაა ლომ-გმირნი, წინად რომ მხარს უმშვენებდნენ. აგერ სულ რაღაც 400 მიურიდმა შეაფარა მასთან ერთად თავი უკანასკნელ სავანეს — გუნიბს. რას გახდებოდა ეს ერთი მუჭა თავდადებულ გმირთა ბარიათინსკის აუარებელ ჯართან!

რკინის სალტასავით შემოერტყა რუსის მხედრობა გუნიბსა და ჭიანჭველასავით მიცოცამდა ციცაბო კლდეებზე თოკის კიბეებით. გაბრაზებული რუსის მხედრობა დიდის ხნის განუწყვეტელი ომით მარტო ღა ნიშანს— ზარბაზნის სროლას ელოდა, რომ შეევარდნილიყო გამაგრებულ გუნიბში და აეკლო უბედური სოფელი, ეს უკანასკნელი ბუდე და სავანე ზვიად არწივისა. შამილმა იცოდა, რომ დანდობით აღარავინ დაინდობდა.

ვინ მიხვდება, თუ რას ჰფიქრობდა კიდევ იმამი საჩაჩნოსი და ავარიისა!

აქ, გუნიბში, რომ დრამის უკანასკნელი მოქმედება იშლებოდა, გუნიბის გარედ, დიდ ქვაზედ დაბრძანებულიყო, არყნარის ჭალაკში, თვით თავადი ა. ი. ბარიათინსკი. გარს ეხვია ბრწყინვალე ამალა და მოუთმენლად ელოდნენ როგორც სარდალი, აგრედვე ამალა, თუ რას იტყოდა გალიაში მომწყვდეული ლომი, ნებაყოფლობით გამოვიდოდა სიმაგრიდან, თუ'ისევ-ისე საჭირო შეიქმნებოდა იერიში და ათასობით კვლავ გაწყვეტა რუსის მხედრობისა.

ცეცხლის გეენას რომ განიცდიდა შამილი და თავადი ბარიათინსკი კიდევ გულის ძგერით რომ ელოდა, აბა როდის მოვიდა ამბავი—იმამი მზადაა თავი დაგიკრასო, ამ ისტორიულ ჟამს ასიოდე მიურიდი ტყიან გორაკს ამოჰფარებოდა გუნიბის სიახლოვეს და იყო ასე მიყუჟული. დაინახეს თუ არა მიმალულებმა რუსის

მხედრობა, გულმა ვეღარ მოუთმინა და ძტერს სეტყვა-სავით დააყარეს ტყვია-წამალი. ცოცხალი მაინც ხომ ვერ გადურჩებით მზის გულზე მოელვარე ხიშტების ტყეს-საო, ალბად იფიქრეს სასიკვდილოდ თავგამეტებულ ვაჟ-კაცებმა, იშიშვლეს ხმალ-ხანჯალი და დაერივნენ გაბო-რტებულ მტერსა. რაღა გამოცანაა საჭირო, რომ თვა-ლის დახამხამების უმალ, გაიჟლიტებოდა ეს ერთი მუჭა მიურიდობა. ცოცხალი ერთი მიურიდიც არ გადარჩენი-ლა ამ საოცარ და უმაგალითო ხელ-ჩართულსა.

ამის მნახველ შამილს რიღას იმედი უნდა ჰქონოდა. მის თვალთა წინაშე სანთელსავით დნებოდა მისი ერთ-გული და მოამაგე გუნდი მიურიდებისა, უკანასკნელი იმედი და სასოება როგორც იმამისა, აგრედვე დაღესტ-ნის თავისუფლებისა.

არწივი იმის არწივია, რომ შორს მფვრეტელია. ნათლად ხედავდა ბებერი არწივი, რომ ხსნა ერთად ერ-თი ღა იყო, სრული დამორჩილება, წელში მოხრა და თავის დაკვრა, მაგრამ ის ფიქრი, რომ რუსებს თავი უნდა დავუკრაო, გულს უმღვრევდა შამილს, სულს უშ-ფოთებდა და ელეთ-მელეთსა ჰგვრიდა.

ამაყი მთის ბატონი, იმამი სრულიად დაღესტნისა, ეტყობოდა, რომ ვერ ითვისებდა ამ დამამცირებელ აზ-რსა. მისი ზვიადი ბუნება ვერ ურიგდებოდა მონობას და ტყვეობას, რასაც ადვილად იტანს მხოლოდ ლაჩარი და სულ მდაბალი და იყო ასეთს ცეცხლის ალში გახვეუ-ლი.

თავად ბარიათინსკის მოთმინებასაც ბოლო ეღებო-და.—მოსაფიქრებლად საათის ერთს ჩარექს გინიშნავო, შეუთვალა შამილს, ან დამმორჩილდი, ან არა და გაგა-ნადგურებო.

ერთი ვაი-ვაგლახი შეუდგათ გუნიბის სიმაგრეში, თ. ბარიათინსკის მუქარას რომ მოჰკრეს ყური. შამი-ლის ჯალაბის და ციხეში გამომწყვდეულ დედა-კაცთა წვილ-კვილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. თმა გაწე-წილნი და გონება დაბნეულნი ფეხებში ჩაუცვივდნენ

სალს კლდესავით გაქვავებულს იმამს, უკოცნიდნენ კალთებსა და მუხლებს და ემუდარებოდნენ, რომ დამორჩილებოდა რუსებს და პასუხი გაეგზავნა თ. ბარიათინსკისთვის—იყავნ ნება თქვენი, გმორჩილდებიო.

იმ სულის კვეთებას, რასაც განიცდიდა იმამი დაღესტნისა ამ ჟამად, იმ დამწველსა და დამდაგველს ცეცხლს, რომლის ალი სწვავდა შამილს, უმწეო დედა-კაცთა და ბავშვების კვნესა-ტირილს და ვაებას რომ ისმენდა, ვინ ასწერს თუ არ ზეცხებული ღვთიურის მადლით პოეტი! გატყდა შამილი და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და რა მოექმედნა. დავმორჩილდე და ხომ სამუდამოდ შევირცხვინე თავიო. განა რას იტყვის მართლ-მორწმუნე ზოსლემინი, როცა გაიგებს, რომ იმამი დაღესტნისა, ზეცით კურთხეული და მოადგილე დიდის მაჰმადისა ცოცხალი დანებდა „დონღუზებს“ და არ შეაკლა თავი, როგორც განწირულმა ზვარაკმაო. თუ ერთი კიდევ ვსცადო ბედი და შეებრძოლო მტერს ძველებურად—ჩემებურად, ავარულად და ჩაჩნურადო. განა ეს პირველი შემთხვევაა ასეთის გაჭირვებისა, განა ასჯერ და ათასჯერ წინადაც არა ვყოფილვარ გაჭირვებაში, მაგრამ ბედს არ გავუწირივარ. ნუ თუ დღეს დასასრულია ყველაფრისა? მაგრამ, ვსცადო და რაღა პასუხი გავსცე უმწეო დედა-კაცებს და ქულფათობას. მე კიდეც რომ გადავრჩე ტყვეობას და მტერს ხელიდან გამოვუსხლტე, გუნიბს რაღა ეშველება, ხომ ძირიან-ფესვიანად ნაღმით დაანგრევენ სოფელს და გაქელტენ ყველას, ვისაც-კი მოასწრებენ.

ქართველები რუსებს გვერდში ამოუდგნენ და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს რუსებთან ერთად შამილთან ბრძოლაში. მაშინ იძულებით არ გაჰყავდათ ჯარისკაცებად ქართველები, თავადი და გლეხი თვისის ნებაყოფლობით მიისწრაფოდა ჯარში, ზოგი საომრად და სავაჟკაცოდ, ზოგი კიდევ ჩინისა და წარჩინებისათვის.

„ქართველთა მილიცია,“ ცხენოსანი თუ ქვეითი, საოცარ გმიროობას და ვაჟკაცობას იჩენ და და თვით შამილს არა

ერთხელ უთქვამს თურმე, რუსები რომ მუსრს გვავლებენ მთიულებს, ეს მესმის და მეყურება, ვინაიდგან ზღაპრულ მგელსავით ხახაში ძვალსავით გავეჩხირეთო, მაგრამ ამ ქართველებს რაღა უნდათ ჩემგან, რად ეხმარებიან რუსებს ასე ერთგულად და რად უჩვენებენ ასე გაბედულად და ოსტატურად მთის გზა-კვალსაო. განა ჩემისა და დაღესტნის წახდენით მაგათ რა შეემატებათ, ან თუ ჰგონიათ, რომ დაღესტნის დამონება დაუბრუნებს მაგათ გამქრალ პოლიტიკურ არსებობასო. ისე ჩავიდა საფლავს იმამი, რომ ვერ შეიტყო მიზეზი ამ გულსაკლავ საიდუმლოსი და ვერც გაიგებდა, ძლიერაც რომ სცდილიყო მის გაგებას. ეხლა რომ არა ვართ უხვად დაჯილდოვებულნი პოლიტიკურის გულთამხილაობით, აბა, ამ ორმოცდა ათის და სამოცის წლების წინად ნასახადაც სად მოიპოვებოდა პოლიტიკის სიღრმე-სიგანეში ჩახედული კაცი.

1854 წ. თიბათვის გასულს შამილის მიურიდები იმამის შთაგონებით და ბრძანებით დაეცნენ კახეთს. შილდელები გენერალ თ. დავით ჭავჭავაძის უფროსობით მხნედ დახვდნენ ლეკებს და უკუ აქციეს თავდამსხმელნი, მაგრამ შილდის მეციხოვნეთ ის ვეღარ მოახერხეს, რომ ს. წინანდალი გადაერჩინათ აკლება-აოხრებისაგან. აკლებას ვიღა ჩიოდა, დიდი სირცხვილი და თავის მოჭრა ის იყო, რომ ტყვედ წაიყვანეს გრიბოედოვის ცოლის ძმის გენერალ დავით ჭავჭავაძის ცოლშვილი და ნათესავნი, სტუმრად ამ დროს იქ დამსწრენი, და ვიდრე იმპერატორმა ალექსანდრე II დიდი ფული არ გაუგზავნა ტყვეების დასახსნელად, შამილმა არ გაანთავისუფლა იგინი. ეს ტრაღიკული ეპიზოდი მრავალ-კარიან რუსების ომისა დაღესტანთან ცოცხლად აქვს დასურათებული ფრანგის ქალს *კრანსიეს*, რომელმაც ჭავჭავაძიანთ და ორბელიანთ ქალებთან ერთად იგემა ლეკური ტყვეობა და ლეკურივე ხინკალი. *)

---

*) გენერალი თ. დავით ჭავჭავაძე, ნინო გრიბოედოვის ძმა,

ისტორიული ნესტარი რომ დავკრათ ლეკთაგან ამ გიჟურ მიხტომას და თარეშს, შეიძლება ის ხალასი ქეშმარიტება შეგვრჩეს ხელში, რომ შამილმა ჯავრი იყარა ქართველებისა იმ უსაზღვრო და ბრმა ერთგულობისთვის, რომელსაც ქართველობა უწევდა რუსის მხედრობას. ხუმრობა ხომ არ იყო, საცა არა გგონია, ყველგან ქართველი უწვრილებდა გულს შამილსა და მის მიურიდებს. თვით გუნიბის არემარე კლდეებზე იერიში რომ მიიტანა რუსის ჯარმა და ჯარის კაცნი რომ თოკის კიბეებით, ან ფოფხვით ზემო-ზემო მიდიოდნენ, პირველად ქართველები, სრესული და თურქესტანიშვილი შეცვივდნენ სიმაგრეში და მათის მაგალითით გამხნევებულნი სხვებიც მხნედ და თამამად იწევდნენ წინ. ასეთი თავის გამოდება ქართველისა რუსობისთვის ცოტა არა ჰქონდა ნახული და გაგონილი დაღესტნის იმამს.

სათქმელი ისიცაა, რომ დიდი პოლიტიკური გულთა მხილაობა მაინც და მაინც ვერც მთამ გამოიჩინა. მთელი მეთვრამეტე საუკუნე ისე დასრულდა, რომ ერთი დღე ბედნიერი არ უნახავს ლეკთაგან ქართველობას. რუსობა რომ დაბინავდა ჩვენში, მაშინაც კი თავზე ხელ-აღებულნი ბრბონი დაღესტნისა თამამად დათარეშობდნენ ქართლ-კახეთის ველ-მინდორზე და ხშირად

შვილია ჩვენის ცნობილის პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და შვილის შვილი გარსევან ჭავჭავაძისა, ქართველ მეფეთა ელჩად რომ იყო პეტერბურგს.

ტყვედ ჩაუვარდა შამილს დავით ჭავჭავაძის ცოლი ანნა ილიას ასული და ცოლის და კნეინა ბარბარე ილიას ასული ორბელიანისა. ტყვეების დასახსნელად შამილმა მილიონი მოითხოვა და უფროსის შვილის ჯამალ-ედინის განთავისუფლება, მაგრამ ბოლოს ორმოც ათას მანათს დასჯერდა. შუა კაცად იყო პოლკოვნიკი ლაზარევი, შემდეგ რუს-ოსმალოს ომიანობის დროს თავი რომ ისახელა. თარჯიმანობდა ლეკურის კარგი მცოდნე გრომოვი, ტომით სომეხი. შამილის უფროსი შვილი ჯემალ-ედინი რუსებმა გაანთავისუფლეს ტყვე კნეინების სანაცვლოდ. წარჩინებულ თ. ჭავჭავაძის სახლობის დატყვევებამ მაშინდელ პეტერბურგს თავზარი დასცა.

იმერეთსაც კი უწევდნენ ხოლმე. გამოდის რომ, როცა შამილმა შეიგნო ძალა ერთობისა და ფრიად საჭიროებდა საქართველოს მეგობრულ განწყობილებას, ცოტა არ იყვეს, დაგვიანებული აღმოჩნდა ასეთი შეგნება, რადგან ჩატეხილ ხიდის გამთელება გაჭირვების დროს არც თუ აგრე ადვილია.

იერიშით აღება გუნიბისა და შამილის დატყვევების ამბავი მოკლედ და მკაფიოდ დასწერა რუსულად ჩვენმა თანამემამულე პოდპოლკოვნიკმა სიმონ ესაძემ. *)

მშვენიერი სანახავი ყოფილა შამილი, გუნიბიდან რომ გამოდიოდა. თან ახლდა მხოლოდ 40 მიურიდი. სახეზე სიკვდილის ფერი ედოვო, ამბობს მეისტორიე ესაძე, მაგრამ მის გაფითრებულ სახეს და იერს მაინც ემჩნეოდა დიადობისა და ზვიადობის ბეჭედიო. გრძელი სქელი წვერი და უმტვერო ქაღალდივით თეთრი ლეჩაქით მობურული დოლბანდი მაღალსა და ახოვან ტანს შამილისას მეტის-მეტად უხდებოდაო. ჯარმა რომ თვალი მოჰკრა ამ საოცარ ვაჟკაცს, თავი ველარ შეიკავა და ელვა-ჭექასავით იგრიალა ჩვეულებრივმა „ურამ“. ეს ისაა, ეს ისაო, გაისმა ჩურჩული ჯართა რაზმების შორის. შამილი შეჰკრთა და უკან გაბრუნება დააპირა. პოლკოვნიკმა ლაზარევმა დაამშვიდა შამილი, ეს ძახილი და გრიალი სიხარულის ნიშანიაო. შამილმა მოითხოვა, თუ ჯარს არ ჩამომაცლით გზიდან, მუსულმანთა რაზმები მაინც მომაცალეთ გზის პირიდან, არ მესიამოვნება, ჩემიანები რომ მიცქერიან პირთა და თვალში ამ ჩემის უბედურების და დაძცირების დროსაო.

---

*) აი სრული სათაური ამ ფრიად საყურადღებო ისტორიულის მონოგრაფიისა: Штурмъ Гуниба и плѣненіе Шамиля. 1859—1909 г. უმთავრესი წყარო და ხელმძღვანელი ამ ისტორიულის ამბისა ესაძის შრომაა და ამის გამო საჭიროდ აღარ მიგვაჩნია ვუჩვენოთ ხოლმე სხოლიოებში, თუ რომელი ცნობა წიგნის რომელ კაბადონიდან ვისესხეთ. ამბავს ვავსებთ ჩვენის საკუთარის ცნობებითაც.

თ. ბარიათინსკის ბანაკს რომ მიუახლოვდა, ცხენიდან ჩამოხტა შამილი და ფეხით გასწია ქვაზე მჯდომ მთავარ-სარდლისკენ და სალამი მისცა. მოწყალებით მიიღო თავადმა ფრთა მოტეხილი არწივი და არ იკადრა იარაღის აყრა და ჩამორთმევა.

მეორე დღეს შამილი და მისი ცოლშვილი პეტერბურგს გაისტუმრა ბარიათინსკიმ და ასეთი დეპეშა გაუგზავნა ალექსანდრე მეორეს: გუნიბი ავიღეთ და შამილი დავატყვევეთ; ხოლო ჯარსაც ლაკონიურად მიულოცა: კავკასიის ჯარო, შამილი დატყვევებულია, მოგილოცავთ ამ ამბავსაო.

საყურადღებოა ქართველ თავად-აზნაურობის ადრესი, თავად ბარიათინსკის რომ მიართვეს შამილის დატყვევების გამო.

...საჩაჩნოსა და დაღესტნის დაპერით და დამშვიდებით, უბრწყინვალესო თავადო, სწერდა ქართველი ბრწყინვალე წოდება, თქვენ აღასრულეთ ვალდებულება, რომელიც იკისრა წინაშე მთელის ქვეყნისა რუსეთმაო... რამდენად მცირე იყო პოლიტიკური გავლენა საქართველოსი ქვეყანაზე, იმდენად ძლიერი იყო საქართველოს ზნეობრივი ძალა და მონაწილეობა კაცობრიობის განვითარებაში. განგებამ დაიფარა საქართველო ათასგვარ ჭირსა და ბოროტებაში, ვითარცა მომფენი ქრისტეანობისა ამიერ-კავკასიის ერთა შორის. საქართველო მარტოდ-მარტო ებრძოდა ისლამის მიმდევართ რამდენიმე საუკუნის განმავლობაშიო.

დღეს თქვენის უკვდავის ღვაწლის მეოხებით აღესრულა წმიდა დანიშნულება საქართველოსი. დაუსრულებელი ომი გათავდა, ტყვედ ჩავარდნილნი ბრუნდებიან თავთავიანთ ოჯახსა და სახლებში. მშვიდობა გამეფდება იქ, სადაც ათასწლობით მიწის მუშაკისთვის იარაღი და გუთანი განუყრელი იყოვო.

პეტერბურგიდან შამილი მალე გამოისტუმრეს და დააბინავეს ქ. კალუგაში, სადაც სცხოვრობდა 1870 წლამდე. ამ წელს შამილმა დაათვალიერა კიევი და შემ-

დეგ გაემგზავრა წმინდა ქალაქ მექქას და იქ გარდაიცვალა 1871 წ. მარტის თვეში, ღრმად მოხუცებული.

ავარიის შუაგულს დაბადებული, სოფელ გიმრას, მთის სუფთა ჰავით ნაზარდი და მთისავე ანკარა წყაროთიევ დავაჟკაცებული, მთის არწივი შამილი, იმამი დაღესტნისა, ეს დაუძინებელი მტერი რუსობისა, განისვენებს არაბეთის უდაბნოს პირზე, ცხელსა და ქვიშით მოწამლულ ჰაერზე.

ასეთი იყო უკულმართი ბედი ამ საოცარის გმირისა და მთის სულის ჩამდგმელისა მთელი ნახევარი საუკუნე.

II

შამილი — ადმინისტრატორი.

შამილი დაიბადა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულებში, მეისტორიე ს. ს. ესაძის სიტყვით— 1798 წელს, ხოლო სხვა წყარონი უჩვენებენ დაბადების წელიწადად 1797, ან 1799-ს. ეს ის დრო იყო, როდესაც თავისუფალ საქართველოს თავისუფალ არსებობის დღენი ილეოდა და დარიალის დახ'ძული კარი იღებოდა ქართველ მეფის ხელით ვითომდა იმ იმედით, რომ ჯვარი ქრისტესი საჭიროების დროს კვლავ ამოჰქოლავდა ყურთამდე დარიალს. ეს ის დრო იყო, როდესაც პატრი ნიკოლა თამამად, გულწრფელად მოახსენებდა თავის მწყალობელ მეფე გიორგი XIII-ს—რუსის დალაბანდის ბრახუნი ნიშანია საქართველოს ს.ეითარსებობის დასასრულისა.

ამიერ-კავკასიის ერთს უძველეს ნაწილს—საქართველოს პოლიტიკური ტანი რომ ერღვეოდა და ჩინჩხვარივით იფუშებოდა ძველი აგებულება სახელმწიფოსი დალაბანდის ბრახუნის მოძახილზე, სწორედ ამ ტრაღიკულ დრო-ჟამს, საქართველოს აღმოსავლეთით, დაღესტნის მიუვალ მთებსა და კლდეთა შორის გაჩნდა ყრმა, რომელსაც თითქოს განგება ავალებდა საქართველოს მეფეთა მემკვიდრეობას. რაკი ბაგრატიონთ და ბარმა ვეღარ შესძლეს ,მაღლა ეფრიალებინათ თავისუფალ, დამოუკიდებელ არსებობის დროშა, მისი პატრონობა და გაძღოლა იმავე

განგებამ გადაულოცა მთას, იმ მთას, რომელსაც ჯერ რიგიანად არ ეწვნია, თუ რა ხილი იყო სრული პოლიტიკური და სახელმწიფო ცხოვრება.

ჯერ ისევ სიჭაბუკეში, თვის საყვარელ მეგობარს და მასწავლებელს კაზი-მოლას რომ ახლდა, შამილმა გამოიჩინა შესანიშნავი ნიჭი წვრილ-წვრილ ტომთა შეწებება —შეკოწიწებისა. გონიერი ყვაწვილი ანაზდეულად მიხვდა, თუ რისთვის უცემდა მთას მაჯა, და რაკი შეიგნო და შეითვისა მთიულის გულის დარდი და ვარამი, თამამად გამოაცხადა, საერთო მტერი რუსობაა, ესაა შავი ნისლივით რომ ედება კავკასიონის ქედსა, მის კალთა-ტოტებს და თუ თავასუფალი არსებობა გვწადიან, კორიანტლად უნდა გადავიქცეთ ნისლის გასაფანტავადო. ამ გვარად შამილმა მტერსა და ძოკეთეს საერთო საქმე გაუჩინა.

შამილი გაიმსჭვალა და გაიტაცა მართვა-გამგეობის იმ წესმა, რომელიც მონათლულია ცენტრალიზმის სახელით და რომლის მარტო ერთი სახელი დღესაც ბევრს ათრობს და ატორტმანებს, თითქოს ბანგი დაულევიაო. მოკლე შედარებით რომ შეიძლებოდეს შამილის მისწრაფება—სურვილის დასურათება, გავბედავთ და ვიტყვით, რომ შამილი ადგა იმავე გზას, რა გზითაც დადიოდა დიდება საქართველოს ისტორიისა, მეფე დავით აღმაშენებელი.

რაკი შამილმა ნათლად და მკაფიოდ გაითვალისწინა მომავალი ასპარეზი, რაკი დარწმუნდა რომ გამარჯვებისათვის საჭიროა ერთის კაცის ბატონობა და ბრძანების გაცემა ერთის ცენტრიდან, აღარას ერიდებოდა იდეალის განსახორციელებლად. მთის გაბნეული ტომნი, უფრო კი ჩაჩანნი და ავარელნი ისე შეჰკრა და შეჰბოჭა შამილმა, კაცს ეგონებოდა, დუღაბი გადუსხამს; ან და რკინის სალტები მოუჭერია ალთასა და ბალთისაკენ მაჟურებელ მთიულებისთვისაო.

უპირველესი და უძლიერესი დუღაბი და სალტა, რასაკვირველია, იყო სარწმუნოება და რჯული მაჰმადისა. ამას მოჰყვა შარიატი, რომელსაც სრულიად უსდა

დაეთრუგვნა და განედევნა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებიდან ადათი და ჩვეულება. ჭკვიანი და გონიერი ადმინისტრატორი შამილი ამას არ სჯერდებოდა და ათას სხვა ღონესა და ხერხს ხმარობდა, რომ თავისი გაეყვანა. მაგალითად დიდად უწყობდა ხელს შერეულ ქორწინებას და აქეზებდა ახალგაზდობას საცოლო შორეულ ტომიდან მოეყვანა. ასეთის ქორწინების წყალობით დიდად მტკიცდებოდა ნათესავობა, მეგობრობა, მეზობლობა და სიყვარული დაშორებულ ტომთა შორის.

რუსებთან განუწყვეტელ ომიანობის გამო დიდძალი ვაჟკაცობა წყდებოდა. ავარია და საჩაჩნო ხომ აივსო ქვრივ-ოხრად დარჩენილ დედა-კაცობით. გასათხოვარი ქალები საქმროებს ველარ შოულობდნენ. ქალწულთა და ქვრივთა გოდებამ და დრტვინვამ გააყრუა დაღესტნის ხევ-ხუვნი და სოფელნი. საჭირო შეიქმნა მალამოს გამოძებნა მომავალ აჯანყების ჩასაქრობად, რადგან წინასწარი ნიშნები ყველას თვალში ეჩხირებოდა. შამილმა ამ გაჭირვებასაც ადვილად დაახწია თავი. სასტიკად უბრძანა ნაიბებს—დრო გამოშვებით შეჰკრიბეთ ხოლმე ქალწულნი და ქვრივნი წინდაწინ გამოცხადებულ სოფლებში და ათქმევინეთ, ვის ვინა ჰსურს ქმრად, სულ ერთია როგორი იქნებოდა საქმრო, ცოლიანი თუ უცოლო. მამაკაცებს არაფრად ეკაშნიკათ ასეთი ბრძანება და ძალით ცოლების შერთვა, მაგრამ ურჩობას ვერავინ ჰბედავდა. გაჯიუტებული ვაჟკაცი ცოცხალი ვერ გადურჩებოდა შამილის მრისხანებას და წყრომას. პირველად დედაკაცებსაც ეუკხოვათ ეს სასტიკი ბრძანება, რადგან ქალი მუდამ ქალია და ჩვეულებრივი კდემა-მოსილობა ხელს უშლიდა დაესახელებინა საქმრო საჯაროდ წინაშე ქვეყნისა და შეკრებილ თემისა, მაგრამ მალე შეეჩვივნენ ახალს წესს და აღარ თაკილობდნენ საქმროების დასახელებას და არჩევას.

ასეთის დროსა და გარემოების შეფარდებულის განკარგულებით შამილმა უცბად ჩააქრო იქვე სათავეში ქალთა გულში დაგუბებული უკმაყოფილება და მშვენიე-

რი სქესი დაღესტნისა თვით ერთგულ მომხრეებად გადაქცია. მადლობელმა ქალებმაც ბევრჯელ დაუმტკიცეს იმამს თავისი გრძნობანი და სიყვარული. 1840 წელს რუსებს რომ აუჯანყდა თითქმის დაწყნარებული საჩაჩნო, ეს სულ ჩაჩან ქალების უნარი და მამულიშვილობის ბრალი იყო.

ჭკვიანი შამილი კარგად ჰხედავდა ძალად ქორწინების უხერხულობას, მაგრამ რა ვუყოთ, გარემოება ასეთია და ბედს უნდა დავმორჩილდეთო. განა თვით განათლებული ევროპელნი ყველა თავის ნება-სურვილით ქორწინდებიანო? განა ცოტაა მათში ისეთნი, რომ ცოლს ირთავენ დედ-მამის ბრძანებით, ან სხვა რაიმე ანგარიშით, სადაც სიყვარულს სრულიად ადგილი არა აქვსო? დასავიწყარი არც ისაა, რომ მაჰმადის რჯულის მიმდევართა შორის ძალად გათხოვება ისე არაა დასაგმობი როგორც ქრისტიანთა შორის, რადგან იქ განქორწინება ძლიერ ადვილია. თუ მეუღლენი ვერ შეეგუვებოდნენ ერთმანეთს, ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეუშლიდა ხელს გაყრას და ამ გვარად აღარ მოუწამლავდნენ სიცოცხლეს უსიყვარულო და დაობებულ ცხოვრებით ერთს სარეცელზე და ერთ ჭერ ქვეშ.

დიდი რუსეთი და მწირი დაღესტანი საჭიდაოდ რომ გავიდნენ და როგორც ეტყობოდათ, ერთმანეთის პირის კოცნას არ აპირებდნენ, ადამიანს ზღაპრული სურათი გადაეშალა თვალწინ. ჩრდილოეთიდან ბუმბერაზი, ასთავიანი ბაყბაყ მდევი მოალაჯუნებდა ბარკლებს, ხოლო სამხრეთიდან ეგებებოდა, მართალია, ქურციკივით ზარდი, მაგრამ მჭლე და სუსტი მთიული: აბა სად გოლიათი და სად მწყემსი! საკვირველი დღესაც ისაა, როგორ გაუძლო გოლიათს მწყემსმა მთელი ნახევარი საუკუნე და პირველსავე შეტაკებაზე როგორ არ გაწყდა წელში მთიული!

მტერი შამილისა ძლიერი, მრავალ-ერიანი და მდიდარი იყო. ამასთან რუსეთს შეეძლო გამოეყვანა შამილის წინააღმდეგ ევროპულად მოწყობილი და სასტიკის დისციპლინით შეკრულ-შებოჭილი ჯარი. სურის-

ი და სამხედრო მასალა საზრუნავი აგრე რიგად არა ჰქონდა რუსის მხედრობას. სურსათისა და ტყვია-წამლისათვის ზრუნავდა ცალკე დაწესებულება. სულ სხვა იყო შამილის საქმე: ჯარის კაცი შამილისა მეომარი ითვ იყო და იყო, სასმელ-საჭმელზედაც თითონ უნდა ეზრუნა, ტყვია-წამალი, იარაღი და ცხენი ყველაფერი მისი საზრუნავი და თავშისაცემი იყო. შამილის მხედრობა ეჯერო საერო მილიციას წააგავდა ვიდრე წინადვე შემუშავებულ წესსა და რიგზე გაწვრთნილ ჯარსა. განსაკუთრებით დიდს შრომასა და ზრუნვას თხოულობდ. ცხენოსანი ჯარი.

დაღესტანი და საჩაჩნო შამილმა დაანაწილა ათასათას კოცლიან სახაიბოდ, რომელთაც განაგებდნენ ნაიბნი. თექვსმეტი წლიდან მოკიდებული სამოც წლამდე თვითეული მკვიდრი მოვალე იყო ჯარში ემსახურნა. თოფი, დამბაჩა და ხმალი ყველა მეომარს საკუთარი უნდა ჰქონოდა. შეძლებული მეომარი ცხენით ვადიოდა ჯარში და უკეთუ თითონ ვერ წავიდოდა სალაშქროდ ავადმყოფობისა, ან ჭრილობის გამო, ცხენი სხვისთვის უნდა ეთხოვებინა. მეომარს საგზალი შინიდან მიჰქონდა, ხოლო თუ დიდხანს დარჩებოდა ლაშქარში, მაშინ იოლად მიდიოდა რეკვიზიციის დახმარებით, ესე იგი ძალით ართმევდა ნუგზალს იმ სოფლებს, სადაც ჯარის ლაშქარი იკრიბებოდა, ან მოქმედობდა.

შამილის დროს მთელი საჩაჩნო და დაღესტანი ერთს თვალუწვდენელ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდნენ. ან კი რა უნდა ექმნათ, ასე რომ არ მოქცეულიყნენ. რუსეთი ყოველის მხრიდან აწვებოდა მთას და ცხოვრების საღსარს ნელ-ნელა უსპობდა. რაოდენ ნაბიჯსაც კი წინ გადასდგამდა რუსეთი, იმდენს ან სოფელს, ან სტანიცას გამოსჭიმავდა და ავსებდა ყაზახებით, ან ციხე-სიმაგრეს აშენებდა. მთიულების ჩამორთმეული სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები ეძლეოდა სტანიცის ყაზახობას, ხოლო მათი ბატონ-პატრონი, მკვიდრი მთიული, ულუკმაპუროდ რჩებოდა და უკან-უკან იწევდა მთის სიღრმესა

და მიუვალ ხეობებში. რამდენსაც უკან იხევდა მთიული, იმდენად უძნელდებოდა ცხოვრება და მაშასადამე იზრდებოდა და მატულობდა მძულვარება რუსებისადმი.

ბოლოს საქმე იქამდისინ მივიდა, რომ რუსის მხედრობამ და ყაზახობამ სრულიად ჩაკეტეს ხეობებიდან გამოსასვლელი გზები ბარში. ვიდრე რუსეთი მარტო ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან აწვებოდა მთას, კიდევ იყო საღსარი განძრევისა და მოქმედებისა, ხოლო როცა რუსეთმა დაიმკვიდრა ყირიმი, მდინარე ყუბანის შესართავი და ძირობანი და საქართველო, კავკასიის ულელ-ტეხილის და მის უბეა-კლთებზე დაფენილ სოფელთა ბედი სამუდამოდ გადასწყდა. ყაზახთა სტანიცების გაშენებამ სამსა და ოთხს წყებად ჩრდილოეთით და აღმოსავლეთ—დასავლეთით მთას სული შეუგუბა. საქართველოდანაც მთავრობამ დაღესტანს შემოავლო რკინის სალტა, რომელსაც სახელად უწოდეს სალეკო კორდინის ლინია, ანუ ხაზი. ეს ლინია იწყებოდა ს. ახმეტასთან, მიდიოდა აქედან ს. ფშავლამდე, საცხენისზე, ყარათუბანზე, ლაგოდეხზე, ბელაქანაზე,ჰარზე. ახალ ზაქათალაზე, მუხახზე და სხვა. ამ ლინიის გაბმით დაღესტანს ის მოუვიდა, რაც დაემართება ხოლმე ხაფანგში დამწყვდეულს თაგვს. რომ იტყვიან, სწორედ განძრევის თავი აღარა ჰქონდა დაღესტანს. მართალია, შამილის დროს სალეკო კორდონის ლინიაზე სტანიცებს არა მართავდნენ, მაგრამ რაც მაშინ არ გაკეთებულა, დღესა კეთდება. ჯერ ისევ გალიცინის დროს ლაგოდეხის რაიონში რამდენიმე ახალი სოფელი გააშენეს, სადაც დაბინავეს ომის მოყვარე ყაზახების მაგიერ მცირე რუსნი, ანუ ხახლები, და ზოგსაც ეხლა აკეთებენ.

ასე გაგუდული და გათანგული მთა იძულებული შეიქმნა ყრონჭში სწდომოდა რუსეთს და ან მოეშორებინა თავიდან რუსეთი და რუსობა, მაჯლაჯუნასავით რომ დააწვა მას და სულს უხუთავდა, ან დედა-ბუდიანად გაწყვეტილიყო, ამოვარნილიყო და აღგვილიყო ამა ქვეყნისა პირისაგან.

სწორედ ამ ისტორიულ პირობებში უნდა ვეძებოთ საათავე სასტიკისა და ულმობელ სამღვთო ომისა, რომელიც გამოუცხადა რუსობას ჯერ ისევ დაღესტნის პირველ იმამმა კაზი—მოლამ. ასეთს ომს ეძახიან გაზავატს, ან წმინდა და სამღვთო ომს რუსების წინააღმდეგ.

სულ სამი იმამი ჰყავდა დაღესტანს: კაზი-მოლა. ვამზად-ბეგი და შამილი. მართალია, პირველმაც და მეორემაც თავი შეაკლეს რუსებს და დიდი წინააღმდეგობა ვაუწიეს გამარჯვებულ წინსვლას და ყაზახთა სტანიცების ბედნიერსა და კეთილ ცხოვრებას, მაგრამ სავსებით და ითქმის უნაკლულოდ მარტო შამილმა მოახერხა განხორციელება გაზავატის დედა-აზრისა. ოცდა ათის წლის ღვაწლი იმ მოქალაქობა შამილისა მარტო ის იყო, რომ მოეშორებინა კისრიდან მაღრჩობელა საბელი, რადა ითას თავისუფლად ესუნთქვა და სხვის კლანჭებში სული არ ამოხდენოდა.

თავის დროს შესაფერად შამილი სწავლულ კაცად ითვლებოდა. ძლიერ ეტანებოდა წიგნსა და საღვთისმეტყველო არაბულ მეცნიერებას შამილზე ამბობდნენ, რომ ვანსწავლულია და მეცნიერი როგორც აკუშის ყადიო. შამილი ოცდა ათი წლისა იყო, უკვე მეორე ცოლი ჰყვანდა, მაგრამ მაინც მთიელი სამი წელიწადი წიგნს თავს არ ანებებდა. რაკი ასეთი ბეჯითი იყო სწავლაში. ეეჭველია ზედ მიწევნით შეითვისებდა შამილი იმ ცოდნას და მეცნიერებას, რაც კი რამ მოიპოვებოდა მაშინდელ დაღესტანში. იმ დროინდელ მეცნიერების შესისხლხორცებით და საოცარის ადმინისტრატიულის ნიჭით აიხსნება ის გარემოება, რომ შამილმა განიზრახა და სისრულეში მოიყვანა კიდეც მთისთვის დაწერილ კანონის ბიცემა. მისის ბრძანებით მეცნიერმა ჰაჯი იუსუფამ დასწერა ძეგლის დება, სადაც გარკვეულია—რა გვარისა და ზომისაა დიდის იმამის უფლებანი და იმამის მახლობელ თანამშრომელთა. დიდის ოსტატობით და თანდათანობით ჩაქსოვილია თურმე ძეგლის-დებაში აზრი და საჭიროება საადმინისტრაციო ცენტრალიზმისა.

პირველი მასწავლებელი შამილისა ყოფილა კაზი-მოლა, სულ ოთხის წლით უფროსი შამილზე. ამან ასწავლა შამილს მეცნიერებასთან ერთად სიძულვილი შემოსეულ მტრისა. ფიზიკურ ვარჯიშობასაც ყურადღებას აქცევდა კაზი-მოლა და ისეთი ნიჭი გამოიჩინა შამილმა სიქაბუკეში, რომ ბევრის მნახველი და ბევრის მომქმედი მთიული განცვიფრებული რჩებოდა, შამილის ვაჟკაცობას რომ ხედავდა. ოცის წლის შამილი თავისუფლად ახტებოდა დიდ პირიან ხევებს და ფლორცვებს.

ესაა დახლოებით შამილი, რომელმაც კინაღამ შესცვალა მეცხრამეტე საუკუნის ისტორია ამიერ-კავკასიისა, დროზედ რომ მხარი დაეჭირა ვისმეს. ვერც ოსმალეთი და ვერც სპარსეთი ქომაგად ვერ გამოდგნენ, ხოლო საქართველომ ცეცხლზე ნავთი დაუსხა.

მაშასადამე შამილს უნდა წაეგო საქმე და აკი წაეგო კიდეც.

III

გენერალ-ადიუტანტი გრაბბე და იჩკერიის ტყე.

ჩვენ აზრად არა გვაქვს სავსებით ავსწეროთ შამილის ლაშქრობა და შეხლა-შეტაკება რუსებთან. მთელი მისი სიცოცხლე განუწყვეტელი ომია რუსის ჯართან და რუსის მთავრობასთან და დაწვრილებით რომ გამოუდგეთ მათ აღნუსხვას, ძალიან შორს წაგვიყვანს ასეთი განზრახვა. ვფიქრობთ, რომ საჭიროც არაა ამგვარი შრომა. თუ კი ღვაწლი და მოქალაქობა ერეკლე მეორესი ჯერ არ არის შესწავლილი და მადლიანის კალმით აღწერილი, როგორღაც გვეჩოთირება სხვათა გმირის და ქვეყნის ისტორიის გადმოცემა უმეტნაკლოდ. ვისაც ხალისი დაებადება შეისწავლოს შამილის ისტორია უნაკლულოდ და გაითვალისწინოს ყოველი წვლილი შამილის მღელვარებით სავსე და შფოთიან ცხოვრებისა, იმან უნდა მიმაროს ს. ს. ისაძის რუსულად დაწერილ წიგნს.

თუ რა უნარი ჰქონდა შამილს და რის შემძლე იყო ეს საკვირველი და საოცარი მთის არწივი, ნათლად სჩანს იქიდან, რაც თავს დაატეხა გენერალ გრაბბეს 1842 წ. და გრაფ ვარანცოვს 1845 წელს.

1839 წელიწადი ნავსიანი იყო შამილისთვის. თითქოს ერთი ცხვირი დააცემინა ამ წლის პირველ იანვარსა და ნავსობა დაებედაო, შამილმა ვერ გაიხარა ამ წელს და რამდენჯერაც შეებრძოლა რუსებს, იმდენჯერ დამარცხდა და დიდად დაზარალდა. ისე დუნედ და უილბლოდ მიდიოდა მისი საქმე, რომ 1839 წლის მიწურულებში რუსები აშკარად გაიძახოდნენ, შამილის საქმე წასულია, წელში ველარ გასწორდება და იარაღს დაჰყრისო.

1839 წლის დასაწყისს შეიკრიბა ჩრდილოეთ კავკასიაში განსაკუთრებული რაზმი, სახელად საჩაჩნო, რომლის უფროსად დანიშნეს სამთო ომში უკვე სახელგანთქმული სარდალი გენერალ-ადიუტანტი გრაბბე. მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ასეთი გამოცდილი კაცი მთიულებთან ბრძოლაში, როგორიც იყო გენერალი გრაბბე, შამილს მალე მოუღებდა ბოლოს და იმპერიაც მოისვენებდა ამ ონავარ და გაუტეხელ მეომრისაგან.

მართლაც გაზაფხული და ზაფხული 1839 წ. სასიკეთო და საიმედო ნიშნებით დაიწყო რუსებისთვის. მაისის თვეს გენერალი გრაბბე შეიჭრა მოულოდნელად საჩაჩნოში, აიკლო ღა დასწვა რამდენიმე სოფელი და 15 მაისს დაბრუნდა გამარჯვებული ენეზაპნის ციხე-სიმაგრეში შესასვენებლად.

21 მაისს გენერალი გრაბბე ხელმეორედ შეესია საჩაჩნოს და მიადგა სოფელ არგუანს, სადაც დაბანაკებული იყო შამილი 16.000 მეომრით. გაიმართა ომი ფიცხელი და მწარე, ერთმანეთს აღარ ინდობდნენ მეომარნი. ხელჩართული ჩეხა-ჟლეტა თორმეტს საათს გაგრძელდაო და აბა იანგარიშეთ, რა გაალმასებულნი და ბრაზითა და ბოროტებით იქნებოდნენ აღსავსე მოპირდაპი-

რენი. შამილმა დაჰკარგა ორი ათასი მეომარი არგუანის ბრძოლაში, ხოლო რუსებს დაუხოცეს 642 კაცი.

აიყარა შამილი არგუანიდგან და დაბინავდა სოფ. ახულგოში. გენერალი გრაბბე ფეხ-და-ფეხ გაჰყვა შამილს და მიადგა ახულგოს. მთელი ათი კვირა გარს უვლიდა გრაბბე ახულგოს, სცდილობდა ალყა ისეთი ყოფილიყო, რომ სოფლიდან ვერავინ გამოსულიყო და ვერცავინ შესულიყო, მაგრამ ეტყობა რუსებმა ვერ მოახერხეს ასეთის ალყის შემორტყმა. რაკი ყველა გასასვლელ-შემოსასვლელი გზები ვერ შეჰკრა გრაბბემ, შამილს მაშველი ჯარი ნაწილ-ნაწილ მოსდიოდა და მათის შემწეობით ორის მხრიდან გარს მოევლო შამილი რუსის მხედრობას.

ახლა-კი შეფიქრიანდა გენერალი გრაბბე და დროზე აცნობა სამურის რაზმის უფროსს გენერალ გალავინს თვისი გაჭირვება. გალავინმა ხანი აღარ ახანა და დაიძრა თვისის ძლიერის რაზმით ახულგოსაკენ. ორის რაზმის შეერთებამ გადასწყვიტა ამ სოფლის ბედი. რუსებმა იერიში იერიშსე მიიტანეს და ბოლოს 21 აგვისტოს დიდის სიმტკიცით და ხელაღებით დაჰკრეს ციხეს. მაინც ორი დღე გაუძლო ახულგომ სასტიკს და შეუბრალებელს იერიშს და ღონე გამოლეული დაეცა. მომეტებული ნაწილი ციხის დამცველთა ამოჟლიტეს რუსებმა, ხოლო ცოცხალი ვინც გადარჩა, მთასა და გორებში გაიფანტა. თვით შამილი ხელიდან გაუსხლტა რუსებს. მართალია გზაში დასჭრეს შამილი, მაგრამ მაინც გაასწრო საჩაჩნოში გასცლა და დაბინავება არგუანის ხეობაში.

აზრი 1839 წლის შეპრისა საჩაჩნოში ის იყო, რომ შამილი ან მოეკლათ, ან დაეტყვევებინათ. თუმცა ვერც ერთი და ვერც მეორე გრაბბემ ვერ მოახერხა, მაგრამ გენერალი მაინც კარგ გუნებაზე დადგა და ჰფიქრობდა, რომ აღარა ღირს დამარცხებულ და დაკოდილ შამილის უკან დევნა და საფლავამდის ჩაყოლაო. ასე ჰფიქრობდა

და ოცნებობდა გენერალ-ადიუტანტი გრაბბე. მაგრამ ბედის ჩარხი მალე სხვანაირად დატრიალდა.

საანბანო ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რომ ადვილად რუსებმა ადვილად იცოდნენ სხვა და სხვა ქვეყნისა და ერის დაპყრობა, ხოლო მოვლა-პატრონობა დაპყრობილ ქვეყნისა, წესისა და რიგის შემოღება როგორღაც არ ეხერხებოდათ. სწორედ აქაც იგივე განმეორდა, რაც სხვაგან და მრავალჯერ მომხდარა. საჩაჩნოს დაპყრობილ დაბა-სოფლებში რუსის მთავრობამ ჩააყენა სამოქალაქო საქმეთა გასაძღოლად და ხალხის საპატრონებლად ბოქაულები. ალბად ეს ბოქაულები არაფრად ჩამოუვარდებოდნენ ნეტარ-ხსენებულ კაპიტან-ისპრავნიკებს, საქართველო რომ გააბედნიერა გენერალ კნორრინგმა, და იწყეს საჩაჩნოს გამგეობა და პატრონობა „პრისტავულად“.

უწინარეს ყოვლისა ბოქაულებმა მოსთხოვეს ჩაჩნებს, იარაღი აიყარეთო. დროსა და ჟამის შეუფერებელმა განკარგულებამ მთელი საჩაჩნო ყალყზე დააყენა, როგორ თუ იარაღი უნდა ავიყაროთო. ჩაჩანი, ავარიელი რის ჩაჩანი და ავარიელია, თუ-კი წელზე ხმალ-ხანჯალი არ ერტყმისო. ბრაზ-მორეული ხალხი იმასაც კარგად ჰხედავდა, თუ რა სამართალს უჩენდნენ ბოქაულნი მომჩივან-მოპასუხესა. აბა სად ბრძნული სამართალი და განჩინებანი შამილისა და სად სამართალი მაშინდელ ბოქაულებისა. მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა იხუვლა და თავი დაუკრა ახულგოსთან ვითომდა სამუდამოდ დამარცხებულ შამილს, შენს მეტი ბატონ-პატრონი არავინ გვინდა, გვიწინამძღვრე და გვიმსახურეო.

შამილი პირველად ცოტა არ იყო გაინაზა, ალარ შემიძლიან ვიტვირთო თქვენი წინამძღოლობაო. მაგრამ როცა თხოვნა და მუდარა რამდენჯერმე განუმეორეს, ამანათები მისცეს ნიშნად იმისა, რომ არ უღალატებენ და შეჰფიცეს—თავს დავსდებთ შენის გულისთვისაო, მოლბა და ისმინა აჯა საჩაჩნოსი. ოსტატი იყო შამილი

და კარგად იცოდა, სად და როგორ უნდა მოქცეულიყო.

როგორც ფენიქსი ნაცრიდან, ისე განახლდა შამილი 1840 წლის დასაწყისში, ერის ნდობით აღფრთოვანებული და გამხნევებული. ვინ იტყოდა მისი ამ დროს მნახველი, რომ შამილი ეს ის შამილია, რომელიც შარშან ახულგოსთან მწარედ დაამარცხეს გრაბბემ და გალავინმა და გაქცეული იქიდან გზაში დასჭრეს! სულ მცირე ხანს შამილმა მთელი მცირე საჩაჩნო ფეხზე დააყენა და დააწყო ჰატარ-ჰატარა რაზმებად. წარმოუდგენელის სისწრაფით რაზმები იქ იბადებოდნენ, სადაც სრულიად არ მოელოდნენ და იკლებდნენ და მუსრს ავლებდნენ რუსის ჰატარა და უღონო რაზმებს და მეციხოვნეთ. მათის დევნით და მოგერებით რუსის მხედრობის ცალ-ცალკე რაზმები წელში გასწყდნენ და არაქათი გამოელიათ.

შამილის მეომარი რაზმები, რომელთაც წინამძღოლობდნენ სახელოვანნი ვაჟკაცნი: ჰაჯი-მურატი, კიბიტ-მაგომა და ახვერდი-მაგომა ისე გათამამდნენ, რომ სადავლოდ რუსების ასაკლებად კასპის ზღვის პირს უწევდნენ ხოლმე, ეცემოდნენ თემირხანშურას და მდინარე თერგის ძირობამდის ჩადიოდნენ. მშვიდობიანი მისვლა-მოსვლა შარა გზით კასპის ზღვის პირზე ძესწყდა და განმეორდა ძველის-ძველი ამბავი—მოგზაურობა „აკაზიით“. თუ დიდი მაშველი რაზმი არ ახლდა ზარბაზნით მგზავრებს, ვერავინ ბედაყდა ფეხი გაედგა ერთის ქალაქიდან მეორე ქალაქამდე, ან წასულიყო ვინმე ჩვენიდან რუსეთს, ან დაბრუნებულიყო იქიდან საჩვენოში.

რანაირად გათამამდნენ შამილის რაზმები, სჩანს მოზდოკის აკლებიდან. 1840 წელს, 29 ენკენისთვეს ახვერდი-ბაგომას დასი დაეცა ქ. მოზდოკს, სადაც ბლომად სცხოვრობდნენ მეთვრამეტე საუკუნეს მისული ქართველები და სომხები. მაგომამ მოზდოკი ააწიოკა და ტყვენი წამოასხა, მათ შორის სომეხ ვაჭარ ულუხანოვის მთელი სახლობა. ტყვედ ჩაუვარდა მაგომას ულუხანო-

ვის ქალი ანნა, რომელიც შამილმა ცოლად შეირთო და უწოდა სახელად შუანეტი. შუანეტი შამილის უსაყვარლეს ცოლად შეიქმნა და ეტყობა ანნასაც დიდად შეუყვარდა შამილი, რადგან თავისუფლებაზე უარი სთქვა და აღარ დაბრუნდა მამის ოჯახში, ოდეს თ. ბარიათინსკიმ ტყვე შამილი პეტერბურგს გაისტუმრა და ანნას გამოუცხადა, სრული უფლება გაქვს მამის სახლში დაბრუნდეო. შუანეტამ ამჯობინა ტყვე გმირთან დარჩენა ქ. კალუგაში მოზდოკში დაბრუნებას, ვაჟარ ულუხანოვის ოჯახში.

ამ ხანებშივე შამილმა აირჩია ბინად სოფელი დარგო იჩკერიისა მდინარე აქსაის სათავეში. იჩკერია იმ დროს განთქმული იყო გაუვალ, უღრან და დაბურულ ტყეებით. აი სწორედ აქ, სოფელ დარგოს, იჩკერიის ტყეებში, დატრიალდა 1845 წ. ის დრამა, რომელმაც, ცოტა გაწყდა, კინაღამ არ იმსხვერპლა გრაფი მ. ს. ვარანცოვი, სარდალი რუსის მხედრობისა და მოადგილე რუსის იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა კავკასიაში.

სოფელი დარგო და იჩკერის ტყე შავ სამარედ გადაექცა რუსის მხედრობას. 1845 წელს რომ გრაფმა ვარანცოვმა კინაღამ თავი დაიღუპა, სამის წლის წინად, 1842 წელს, გენერალ-ადიუტანტმა გრაბბემ ისეთი სიცხვილი სპამა, რომ ამის მზგავსი რუსებს არა ენახათ რა იმ დროიდან, რაც რუსის მართვა-გამგეობა დამკვიდრდა საქართველოში. ვის მოუვიდოდა აზრად, რომ გამარჯვებას ჩვეული ჯარი ისე დამარცხდებოდა და შერცხვებოდა, როგორც ეს გრაბბეს დაემართა დარგოში, მაგრამ მოულოდნელი მოხდა. ისტორიკოსი ესაძე ასე გვიამბობს ამ ამბავს, რომელსაც გულ-მტკივნეულად იხსენიებს და ამბობს, რომ იგი ამბავი შავ ლაქად დარჩება სამუდამოდ რუს და მთიულთა განუწყვეტელ ომიანობის მატიანეშიო.

გენერალი გრაბბე დაიძრა სოფელ ვერზელიდან 30 მაისს 1842 წელს და გაემართა დარგოსაკენ იჩკერიის

ტყით. თან ახლდა სარდალს ძლიერი რაზმი, რიცხვით 10.000 ჯარის კაცი. გრაბბე ჰფიქრობდა ერთის შეტევით შამილს თავ-ზარს დავცემ, სამუდამოდ ბოლოს მოვუღებ და იმის ბუდე (რეზიდენცია) — დარგოსაც დავაქცევო. ვინ იცის იქნება თამამ გენერალს იმის იმედიც თუ ჰქონდა, რომ ამ დროს შამილი იჩკერიაში არ ეგულებოდა.

მართლაც 1842 წელს, მაისის მიწურულებში, შამილი იჩკერიაში არ იყო. 25 მაისს იგი შეიჭრა ყაზიყუმუხში 15.000 მეომრით. დიდი ხანია შამილი ამრეზილი იყო ყაზიყუმუხზე და უნდოდა ჭკუა ესწავლებინა აქ დაბანაკებულ რუსის ჯარისა და ამ ჯარის უფროს მ. ზ. არღუთაშვილ-მხარგრძელისთვის და აგრედვე ყაზიყუმუხელებისთვის, რომელნიც აგრე რიგად თავს არ უკრავდნენ შამილს, ალმაცერად უყურებდნენ მის ბატონობას მთაში და სულ განზე იყურებოდნენ.

ყაზიყუმუხი მოსამზღვრეა ჭარ-ბელაქნისა, ზაქათლისა და ელისეს სასულთნოსი და მდებარეობს ორ ყოისუს შუა, ერთია შავი ყოისუ და მეორე ყაზიყუმუხისა. სიგიჟე იყო შამილის მხრივ დარგოდან ყაზიყუმუხში შეჭრა სწორედ იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთიდან გენერალი გრაბბე ემზადებოდა იჩკერიისა და დარგოს აკლებასა, მაგრამ განა მარტო ყაზიყუმუხის ლაშქრობაა სიგიჟე და უზომო სითამამე? მთელი ცხოვრება შამილისა, მოქალაქობა მისი და დაუსრულებელი ბრძოლა უშველებელ, ევროპულ და სამხედრო სახელმწიფოსთან რა არის თუ არ სიგიჟე, სითამამე და დაუჯერებელი ამბავ-არაკი? ამის გამო გასაოცარი და მოულოდნელი არაა ეს გალაშქრება და თავდასხმა ყაზიყუმუხზე, ოდეს ზურგიდან გრაბბე ემუქრებოდა. შამილს შეურყეველი იმედი ექნებოდა თავის მამაც და ერთგულ ნაიბებისა. ისინი უშამილობას არ შეიმჩნევინებდნენ და საკადრის პასუხს გასცემდნენ გენერალ გრაბბეს და არ გააწბილებდნენ იმამის სახელს. არც ესაძე და არც ბიოგრაფი შამილისა ბ-ნი მ. ბ. არ გვეუბნებიან, თუ ვინ დასტოვა

შამილმა იჩკერიაში, თვითონ რომ ყაზიყუმუხისკენ გა-
ემართა, მაგრამ საფიქრებელია, რომ შამილის მაგიერო-
ბას გასწევდა ჰაჯი-მურატი, ან ახვერდი-მაგომა, ან შე-
იძლება ორთავენი.

ყაზიყუმუხის რუსის რაზს უფროსობდა ნიკიერი და
მამაცი სარდალი მოსე ზაქარიას ძე არღუთაშვილი-მხარ-
გრძელი. შემოსეულს შამილს არ შეუშინდა არღუთაშვი-
ლი და უკან დახევას და ძალის მოკრეფას ამჯობინა წინ
მიჰგებებოდა იმ მხედრობით, რაც ხელთქვევით ჰყავდა
იმ ხანად. მტერნი დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს სო-
ფელ კიულიულისთან. მოპირდაპირეთა ბანაკს ჰყოფდა
ღრმა ხევში ჩავარდნილი მდინარე ყოისუ, მყვირალა და
ღრიალა, როგორც ჩვენი თერგი და არაგვი, ილია ჭავ-
ჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან შემკულნი და
გაპატიოსნებულნი.

თავად არღუთაშვილს ჰყავდა მხოლოდ სამ-ნახევარი
ბატალიონი და 1160 მილიციონერი ოთხის ზარბაზნით.
სამწუხაროდ, ცნობა არა გვაქვს ამ ჟამად, ვინ იყვნენ
ეს მილიციონერები, თუმცა ეჭვი არა გვაქვს, რომ ნა-
ხევარზე მეტი ქართველობა იქნებოდა და მათ შორის
ალბად თუშობა, ეს დაუძინებელი მტერი დაღესტნისა.
რაც პატარა თუშეთმა ძალ-ღონე შეალია დაღესტანს,
რაც აქ წმინდა სისხლი დაღვარა, სხვაგან სადმე რომ
დაეხარჯა მაგოდენი ძალა და დაეღვარა მაგოდენი სის-
ხლი, ერთს პატარა სამეფოს მოუპოვებდა საქართველოს
და ფეშქაშად მიარჩმევდა. ღვთის წინაშე არც თვითონ
იქნებოდა წაგებაში და დღევანდელსავით აღარ ექნებო-
და საძებარი და სავაგლახო ადგილ-საძოვარი.

რაკი პირდაპირ დაკვრა არ შეიძლებოდა მტრისა
ღრმა ხევის გამო, შამილმა მოუარა რუსის ბანაკს და
შეუტია ორთავ გვერდიდან, ან როგორც ევროპელები
და რუსები ამბობენ, ფლანგებიდან. გაჩაღდა ბრძოლა
სასტიკი, ულმობელი და მძაფრი. ჩვენის ქვეყნის შვილ-
ნი, მთიელი შამილი და ბარელი არღუთაშვილი ერთმა-
ნეთს აღარ ზოგავდნენ. გაიმარჯვა ბარელმა, მხნე და

ნიჭიერმა არღუთაშვილმა. დამარცხებული შამილი გავიდა ყოსუს მეორე ნაპირს და სულაც დასტოვა ყაზიყუმუხი.

ბრძოლა იყო 2 ივნისს და რადგან შამილს აცნობეს, რომ ჩრდილოეთიდან გენერალი გრაბბე შემოესია იჩკერიასო, სისწრაფით გაეშურა დარგოს, სადაც სამ დღეს, 30 და 31 მაისს და 1 ივნისს უმაგალითოდ დაემარცხებინათ შამილის ნაიბებს გენერალი გრაბბე. შამილმა ისეთი სწრაფი სიარული იცოდა, რომ ხშირად დღეში 70 კერსი გაუვლია რაზმით.

ახლა დაუბრუნდეთ იჩკერიის ტყეს და ვნახოთ, რა დაემართა თამამ გენერალ გრაბბეს.

გენერალ-ადიუტანტი გრაბბე დაიძრა სოფელ გერზელიდან 30 მაისს 1842 წელს. *; როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, რაზმი მრავალრიცხოვანი იყო, სულ 10.000 ჯარის-კაცი. ამოდენა რაზმის ტრიალი და მოძრაობა მთაგორიან, კლდიან და უგზოუკვლო ქვეყანაში და იჩკერიის დაბურულ ტყეებში მეტის-მეტად სახიფათო იყო, მაგრამ გენერალი გრაბბე ისე შეიპყრო სურვილმა დაენგრია ერთის დაკვრით შამილის საცხოვრებელი ბინა— დარგო, რომ აღარავის რჩევა-დარიგებას აღარ ისმენდა. გრაბბეს რაზმის პოლკოვნიკი, მთიული, ხასაიმუსაევი აფრთხილებდა გრაბბეს, დიდად სახიფათოა შესვლა ამოდენა რაზმით შუაგულ ავარიაშიო. თითქმის მტკიცედ და გადაჭრით ეუბნებოდა მუსაევი გენერალს, რაზმი დაიღუპებაო, მაგრამ არა გამოვიდა რა. გრაბბემ არ შეისმინა ვონიერი რჩევა მთიულისა, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა მთა, მთის ხასიათი და ისა, თუ როგორ უნდა ლაშქრობა მთა-გორიან ქვეყანაში.

რაზმი გაება იჩკერიის ულრან და დაბურულ ტყეებში და ჭიაყელასავით გაიჭიმა. სურსათისა და ბარგის ურმები ისე აბრკოლებდა და აფერხებდა რაზმის მოძრა-

---

*) ს. გერზელი (სიმაგრე) სძევს სიმაგრე ხასავ-იურტიდან დასავლეთით, ესე 12—15 ვერსით.

ობას, რომ სწორედ ხაფანგობას უწევდა რუსის მხედრობას. მთიულებსაც სწორედ ეს უნდოდათ. ღაზლის ძაფსავით გაჭიმულ რუსის რაზმს მთიულებმა დაუშინეს ტყვია და წვიმასავით მიაყარეს თავსა და პირში. ტყის ყოველი მხრიდან სიკვდილის სუნთქვა უბერავდა. რუსის მხედარი ვერა ჰხედავდა, საიდან მოდის ტყვია, ვინ ისვრის, ისმოდა მხოლოდ მწარე ზუზუნი, თითქოს ფუტკარს უყრიაო. ჯარი სულით ეცემოდა და ნელ-ნელა ჰკარგავდა ჯარის უმთავრეს თვისებას—სიმხნევეს, სითამამეს, გმირობა-ვაჟკაცობას. შედრკა და გატყდა ჯარი.

წინ იწევდა ჯარი, მაგრამ რა, უარესი წინა ხვდებოდა. ასე გაშინჯეთ მთელი ორი დღე ტრიალებდა რუსის მხედრობა ამ გავარვარებულ თონეში და ცვარი წყალი ვერ ეშოვნა, რომ ყელი ჩაესველებინა და შუბლი და გულ-მკერდი გაეგრილებინა. ნაბიჯს ისე ვერ გადასდგამდნენ რუსები, რომ წინ ხერგი არ დახვედროდათ. მაშასადამე ვიდრე ხერგს არ გასწმენდნენ და ფიჩხსა და ხეებს არ მიჰყრიდ-მოჰყრიდნეხ, წინ ვერ წაიწევდნენ. ასეთ შეტბორების დროს ულმობელად და შეუპრალებლად წყდებოდა რუსობა. თვით მთიულნი თავზე ხელაღებით იბრძოდნენ, მტერს რომ არა ზოგავდნენ, თავიანთ თავსაც აღარ უფრთხილდებოდნენ. თითქოს შეზარხოშებულან მოსეულ მტრის სისხლითაო, მთიდან მოხვეტილ ზვავივით ეზვავებოდნენ რუსებს და მედგრად იცავდნენ თვის ტერრიტორიის თვითოეულ ნაბიჯს. შარბათივით ტკბილია მთიულისთვის სამშობლო მიწა-წყალი და აკი თავს არ ზოგავდნენ მთის არწივის ბარტყები.

გენერალი გრაბბე და მისი რაზმი იმის მეცადინეობაში იყო, რომ ჩახერგილი გზა როგორმე გაეხსნა და ხერგებიდან მთიულები გაერეკა. ერთს ხერგს ისეთის გმირობით იცავდა მოლა შუაიბი, რომ სწორედ საოცარი იყო. მთელი ავანგარდის-მოწინავე რაზმის აფიცრობა ან გასწყვიტა შუაიბმა, ან დაჰკოდა. ყაბარდოს პოლკის პირველ ბატალიონის კამანდირი პოდპოლკოვნიკი ოსტროვსკი აქვე მოჰკლეს.

სამის დღის განმავლობაში გრაბბემ ძლივ-ძლივობით 25 ვერსი გაიარა და რაკი დარწმუნდა, რომ წინსვლა შეუძლებელია და შეიძლება მთელი რაზმიც დაჰლუპოს, ბრძანება გასცა 2 ივნისს, უკან დაბრუნდეთო. ჯარი იმავე გზით ბრუნდებოდა შინ, რომლითაც ამოვიდა იჩკერიაში.

გამოტრიალებულ ჯარს უფრო გაუძნელდა გზის გაკაფვა, ვიდრე წინ სიარული. არეულ და შერყეულ მხედრობას ექვსი ზარბაზანი წაართვეს მთიულებმა. ესეთი სირცხვილი და თავის მოჭრა ვერ აიტანა პოდპოლკოვნიკმა პრასკინმა, ეკვეთა ჩაჩნებს და ხუთი ზარბაზანი უკანვე დაიბრუნა. ძვირად კი დაუჯდა პრასკინს ეს თავის გამეტება. რამდენიმე ტყვიამ გული გაუგმირა პრასკინს და იქვე ზარბაზნებთან სული ჩააბარა უფალს.

ენით არ აიწერება აშლილ-დაბნეულ ჯარის უკან დაბრუნებაო, ბრძანებს ისტორიკოსი ესაძე. ტყე გაივსო დახოცილთა გვამებით, კვნესა და გმინვა დაკოდილთა და დაჭრილთა გულ-საკლავად მოეფინა იჩკერიის ტყის არემარესაო.

როგორც იყო დაბრუნდა გრაბბეს რაზმი 4 ივნისს ს. გერზელს, მაგრამ ვაი ამ დაბრუნებას. 1700 ჯარისკაცი იმსხვერპლა ამ უმაგალითო ლაშქრობამ. 66 აფიცერი დააკლდა რაზმს, ზოგი დახოცილი და ზოგიც დაკოდილი. შამილის ბიოგრაფის სიტყვით ზარალი გრაბბესი უწევდა 1800 კაცს.

გენერალ-ადიუტანტ გრაბბეს უმაგალითო დამარცხებამ და გაწბილებამ დიდი სახელი შესძინა შამილს. მაშ რალა ყოფილა რუსის ძლიერება, თუ კი სამის დღის განმავლობაში შეიძლება მისი ხოცვა და ჟლეტა ყველულებივით, ამბობდა გაოცებული და გახარებული მთა. გულში ნათელი ეფინებოდა მთიულს და უძლიერდებოდა იმედი, ეგები ღმერთმა ინებოს და სავსებით გავრეკოთ „დონლუზები“, ველ-მინდორს და ანკარა წყაროებს რომ სწუმპავენ, ეგები მოგვხედოს უფალმა და

მოვიშოროთ საბელი, რუსის მთავრობა და ერი რომ მაგრად სჭიმავენ ყაზახთა სტანიცების გამართვით და საცხოვრებელ ადგილების ჩამორთმევით.

მთელი ათი წელიწადი (1832—1842) იბრძოდა რუსეთი, აუარებელი ჯარის კაცი შეაკლა პირქუშ მთას, აუარებელი ფული დახარჯა, დიდი ზნეობრივი ძალა და ენერგია შეალია მთიელებთან ბრძოლას, და დახე ბედსა, რაღაც საშის ღღის განმავლობაში დაჰკარგა ყველაფერი და ხელცარიელი დარჩა, აღარც სახელი უძლეველობისა და აღარც ნაყოფი მედგარის შრომისა.

ხოლო სახელი და დიდება შამილისა გაბრწყინდა და გაცისკროვნდა, გენიოსობა იმამისა გაიფურჩქნა და გაიშალა. მდინარე ყუბანს უწია შამილის დიდების ხმამ და აუტოკა გული ყაბარდოს და ოსეთს.

ყუბანი რა, თვით ოსმალეთს უწია შამილის გამარჯვების ხმამ. ოცნებით იქ უფრო ოცნებობდნენ და იღაოვებდნენ იმედს რუსეთის საბოლოოდ დამარცხებისას და კავკასიის ქედიდან მოშორებისას.

IV

თავადი ვარანცოვი და ლარგო.

ფიცხის გულის პატრონს იმპერატორ ნიკოლოზ პირველს სწორედ გული გაუწვრილდა შამილთან დაუსრულებელის ომით და ბრძოლით. ნუ თუ ერთის დაკვრით და რიხიანის შეტევით არ შეიძლება შამილის განადგურებაო, ჰფიქრობდა იმპერატორი. ველარ აიტანა ასეთი გაჭიანურება ომისა და თვითონ შეუდგა საომარ გეგმის შედგენას. კავკასიის ახლად დანიშნულ თვის მოადგილეს გრაფ მ. ს. ვარანცოვს ასეთი ბრძანება გადასცა: „რამდენადაც მოსახერხებელია, ეცადე რომ დაამარცხო ბრბონი შამილისანი; შედი შამილის სამფლობელოს შუაგულში, გამაგრდი იქ და დამკვიდრდიო“.

მოგეხსენებათ, რომ ბრძანების გაღება ძნელი საქმე არ არის, მერმე ისიც ორი ათას ვერსის მანძილიდან. საომარი გეგმა, პეტერბურგს დაწერილი, სრულიად შეუფე-

რებელი აღმოჩნდა ადგილობრივ ვითარებისა. მართლაც მისმა განხორციელებამ კინაღამ არ ინაცვალა მოხუცებული სარდალი ვარანცოვი და მასთან ერთად მთელი რუსის მხედრობა.

გრაფ ვარანცოვს სახელი ჰქონდა განთქმული, როგორც ნიჭიერ სარდალს და შესანიშნავ სამოქალაქო მოღვაწეს. ამ ჭკვიან ადამიანს როგორ გამოეპარებოდა, რომ იმპერატორის გეგმის შესრულება უგუნურობა იყო, მაგრამ ვერ გაბედა უარი ეთქვა ხელმწიფისათვის—ვერ ვიკისრებ თქვენს მოადგილეობას კავკასიაში და თქვენის გეგმის შესრულებასაო. ისიც კარგად იცოდა ვარანცოვმა, რომ შამილის სამფლობელოს არც შუაგული ჰქონდა და არც ნაპირები. არწივი იმის არწივია, რომ ერთს განსაზღვრულ ადგილს არა ჩერდება და სადაც მოიპრიანებს, იქ დაიბუდებს ხოლმე. მისი სამეფო და სამფლობელო ცის სივრცეა და აბა ასეთს სამეფოს ვინ მოუნახავს ან შუაგულს, ან ნაპირებს. შამილის სამფლობელო ხან ავარია იყო, ხან საჩაჩნო.

რაკი იკისრა გრაფ ვარანცოვმა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის გეგმის აღსრულებაში მოყვანა, რაღა გაეწყობოდა, ავი იყო იგი, თუ კარგი, საჭირო იყო სამზადისი და მომზადება. 1845 წლის გაზაფხულის პირზე ვარანცოვის ბრძანებით შეიკრიფა ხუთი ცალ-ცალკე რაზმი; საჩაჩნო-გენერალ ლიდერსისა, დაღესტნისა-თავად ვ. ო. ბებუთაშვილისა, სამურისა—თ. მ. ზ. არღუთაშვილ-მხარგრძელისა, სალეკო-გენერალ შვარცისა და ნაზრანისა-გენერალ ნესტეროვისა. ხუთივე რაზმს ერთს დროს უნდა დაეწყო მოქმედობა შამილის ასაკლებად და ბოლოს მოსაღებად.

ანდიაში უნდა შეჭრილიყვნენ ვარანცოვის ბრძანებით რაზმები გენერალ ლიდერსისა და თ. ბებუთაშვილისა. ლიდერსის საჩაჩნო რაზმში მოჰყვა დიდ ძალი ქართველობა, სახელდობრ ორი დრუჟინა ქართველ ქვეითა მილიციონერებისა, სულ 1000 კაცი და ხუთი ასეული ქართველ ცხენოსან მილიციისა. მაშასადამე მარტო

ლიდერსის რაზმში 1500 ქართველი მეომარი იღებდა მონაწილეობას. როგორც ეტყობა, არც თუ ქართველებს დაუჯდათ იაფად დარგოს ექსპედიცია, ანუ ლაშქრობა.

31 მაისს 1845 წ. გრაფი ვარანცოვი აბძანდა ტფილისიდან ციხე-სიმაგრე ვნეზაპნოეში, სადაც ბანაკად იდგა გენერალ ლიდერსის საჩაჩნო რაზმი. სამხედრო სალამ-ქალამის დასრულების შემდეგ რაზმმა გადაახდევინა ჩვეულებრივი პარაკლისი და გაემართა საბრძოლველად. 3 თიბათვეს გენერალი ლიდერსი შეუერთდა გენერალ ბებუთაშვილის დაღესტნის რაზმს.

შამილს აბა როგორ გამოეპარებოდა რუსების მოძრაობა და ისიც შეუდგა სამზადისს. ანდიაში შესასვლელი გზები შეჰკრა მხოლოდ პატარ-პატარა რაზმებით. გეგმა შამილისა ის იყო, რომ შეეტყუებინა რუსები ანდიის შუაგულში, ჩაეკეტნა იქ და სრულებით გაეწყვიტნა, ან ისე დაემარცხებინა, რომ კარგა ხანს ფიქრად აღარ მოსვლოდათ თავხედურის ლაშქრობის დაწყობა. რაკი ასეთი გეგმა მიიღო შამილმა, ცხადია რომ არავითარ დაბრკოლებას არ გაუჩენდა ლიდერსისა და ბებუთაშვილის რაზმებს სალათავიაში და დასტოვა უბრძოლველად ბარტუნაი, რომელიც ითვლებოდა სალათავიის კარად.

სალათავიას გვერდზე აკრავს გუმბეთი, რომელზედაც გადადის ორი გზა ბარტუნაიდან, ანუ სალათავიის კარიდან. ერთი გზა ადის კირკის უღელტეხილზე და ეშვება ძირს, ხოლო მეორე გადადის მიჩიკალზე. რუსებმა არჩიეს კირკის უღელტეხილი. თვით გრაფ ვარანცოვმა მოისურვა თავის თვალით ენახა კირკის უღელტეხილი და დაეთვალიერებინა იგი. 5 ივნისს მოწინავე რაზმი შეუდგა უღელტეხილს. რაზმს მისდევდა მთავარ-სარდალი ვარანცოვი, ხოლო უფროსობდა ავანგარდს მამაცი გენერალი პასსეკი.

მთელი გუმბეთი სუფრასავით წინ გადაეშალა რუსის მხედრობას, კირკის უღელტეხილზე რომ ავიდა. მომავალ ბრძოლის ველი აშკარად სჩანდა. აქ, ამ უტყეო

და უჩირგვო ხრიოკიან ველ-მინდორზე უნდა გადაწყვეტილიყო ბედი შამილისა.

პირდაპირ რუსის ჯარისა შამილმა დარაზმმა თვისი მხედრობა ანჩიმერის მთაზე. ანჩიმერი ანდიის შუაგული არაა და ვგონებთ, რომ შამილის აქ გაჩერება თვალთ მაქცობა იყო და მტერს თვალებს უბნელებდა.

იერიშით აიღეთ ანჩიმერიო, უბრძანა გრაფ ვარანცოვმა გენერალ პასსეკის ავანგარდს.

კირკის უღელტეხილიდან ძირს დაეშვა გენერალ ბენკენდორფის უფროსობით რაზმი. ჯარის-კაცნი თხებსავით ხტოდნენ კლდიდან კლდეებზედ, ხოლო თ. ლევან მელიქიშვილის ქართველთა მილიცია თულებივით მიიპარებოდა ძირობებში და ამ რიგად მთელი მოწინავე რაზმი უვნებლად მიადგა ანჩიმერის მთის ძირსა.

ქართველი მილიციონერები პირველნი აცოცდნენ ციცაბო კლდეზე. მილიციონერებს ფეხდაფეხ მისდევდა რუსის მხედრობა. გულადად დაუხვდა მტერი იერიშის მომტანთ და დააყარა ზემოდან ლოდები, ყუმბარები და ტყვია, მაგრამ არ შედრკნენ მელიქიშვილის ქართველები და გალომებული წინ მიიწევდნენ. ისე გახურდნენ თურმე ვაჟკაცნი, რომ აღარ მოუცადეს უკანა ჯარს და გიჟებსავით მიესივნენ ლეკებს. გაჩაღდა ხელ-ჩართული, ხმლისა და ხანჯლის ტრიალი. მალე წამოეწივნენ ქართველებს რუსებიც და ახლა ამათაც დაატრიალეს ხიშტები. გაიმართა ულმობელი ხოცვა-ჟლეტა ანჩიმერის მთის მწვერვალზე; უსულო ლოდნი და კლდენი უხვად შეიღება წითლად ადამიანის სისხლით.

გრაფი ვარანცოვი დურბინდით უყურებდა კირკის უღელტეხილიდან ამ პირველ ბრძოლას და გული სიამოვნებით ევსებოდა, გამარჯვების ნიშნებს რომ ატყობდა.

შამილმა დასცალა ანჩიმერის მწვერვალნი და გარდაიხვეწა გუმბეთიდან.

გამარჯვებით დასრულდა პირველი შეტაკება რუსებისა შამილის მხედრობასთან, მაგრამ აქვე იჩინა თავი მომავალ უბედურობისა და ტანჯვა-მწუხარების ნიშნებმა.

ისეთი ამინდი დაიჭირა, რომ ძაღლი გარეულ არ გაიგდებოდა. წვიმა კოკის პირულად მოვიდა, აცივდა საშინლად. გზები სულ ერთიან გაფუჭდა. აბა კარგ ამინდში რაა მთებში გზა და რა დაემართებოდა ერთის კვირის განუწყვეტელ წვიმის შემდეგ! უტყეო გუშბეთში შეშის ნასახი არსად იყო, ასე რომ ჯარის-კაცები ცხელ საჭმელს დანატრულდნენ. ყველაზე დიდად ის აწუხებდა მეომარს, რომ არ იცოდა, როგორ გაეშრო დასველებული ტანისამოსი.

ასე ვაი-ვაგლახით და მწუხარებით გაატარა ჯარმა გუშბეთში მთელი ერთი კვირა.

11 ივნისს აიყარა ბანაკიდან და გაემართა ანდიისაკენ ბუცურის უღელტეხილით, რომელსაც უწოდებენ ანდიის კარს.

შამილმა არ მოისურვა არც ანდიის კარის დაკეტვა და მის წინ ბრძოლა. დასცალა ეს მაგარი პოზიცია და მოშორდა ბუცურს, ხოლო გასცა ბრძანება, ცეცხლი წაუკიდეთ ანდიის სოფლებსაო.

14 ივნისს რუსის ჯარი ავიდა ბუცურის უღელტეხილზე და იხილა საშინელი სურათი. მთელი ანდია, ბთანი და ხეობანი კვამლითა და ჯანყით იყო მოცული. ხეობათა და წყლის პირებზე გაშენებული სოფლები იწვოდა და ინგრეოდა გაონავრებულ ცეცხლის ალში.

საკუთარის ხელით საკუთარის ქონების გაქრობა-განადგურება—ეს ხომ უშველებელი მსხვერპლია სამშობლოს წინაშე, მაგრამ თავს რომ არ იზოგავდა შამილი, განა ქონებას გაუბრთხილდებოდა!

ანდიის უმთავრესი სოფელი ანდიც შთანთქა ცეცხლმა. შამილმა არც ეს სოფელი დაინდო და ცეცხლი მისცა. პირველად გადამწვარ და გადაბუგულ ანდში შეიჭრნენ ქართველები, სადაც ლეკები ჩასაფრებულიყვნენ. რაკი ხელ-ჩართული ომი გაიმართა ლეკთა და ქართველთა შორის, ქართველების საშველად დაიძრა თ. ა. ი. ბარიათინსკი, შემდეგ იმპერატორის მოადგილედ რომ იყო კავკასიაში და რომელმაც გუნიბზედ დაატყვევა შა-

მილი. ქართველები და ბარიათინსკის ეგერები აცოცდნენ ანდის კლდეებზე და საღამომდის აკვდებოდნენ ლეკებს. ველარ გაუძლეს მთიელებმა გააფთრებულ ქართველებს და ეგერებს, დაიხიეს უკან და დაუთმეს მოზვავებულ მტერს ბრძოლის ველი. რუსის მხედრობამ დაიჭირა ს. ანდი 14 ივნისს. სოფლის სარდაფებში რუსებმა იპოვნეს 400 დამალული ყუმბარა, რომლის წაღება, ან აფეთქება ველარ მოესწროთ შამილის მეომრებს.

სოფელ ანდის დაჭერით დასრულდა რუსების გამარჯვებით წინმსვლელობა შამილის სამფლობელოს შუაგულისაკენ და იწყობა ხიფათი და ფათერაკი. უპირველესი დაბრკოლება ის იყო, რომ სურსათი საკმაოდ არ მისდიოდა ჯარს. ეს იყო მიზეზი, რომ გრაფი ვარანცოვი 6 ივლისამდე გაჩერდა გადამწვარ სოფელ ანდში, სადაც არაფერი არ იშოვებოდა. განა მარტო ანდში, მთელ ანდიაში ათის კაცის გამოსაკვებ სურსათს ვერ მოაგროვებდა ადამიანი.

6 ივლისს რუსის მხედრობა აიყარა ანდის ბანაკიდან და დაადგა დარგოს გზას. ვარანცოვს ამ დროს ახლდა 8000 ქვეითა ჯარის კაცი, 1200 ცხენოსანი და 22 ზარბაზანი. ამოდენა მხედრობა არას დროს არ შესულა დაღესტანში. რომ უფრო ადვილად წარმოიდგინოს მკითხველმა ჯარის მარშრუტი, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ, რომ ციხე-სიმაგრიდან „ვნეზაპნოე“ სოფელ ანდამდე პირდაპირის გზით, რუსებმა რომ გაიარეს, იქნება 60 ვერსამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. ანდიდან ჯარი გამობრუნდა ისევ ჩრდილოეთისკენ და გაემართა დარგოსკენ. დარგომდე უნდა ვიანგარიშოთ ესე 20 ვერსი, ხოლო დარგოდგან გერზელის სოფლამდე ესე 40 ვერსი. მაშასადამე გრაფ ვარანცოვის რაზმმა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ წაიწია სამოც ვერსზე, ხოლო ანდიდან პირი იბრუნა და დაბრუნდა გერზელში. 1842 წელს დამარცხებული გენერალი გრაბბეც ამავე გზით დაბრუნდა გერზელში.

ს. ანდიდან რუსებმა გაიარეს 14 ვერსი დარგოსა-

კენ და გაჩერდნენ უღელტეხილზე, საიდანაც იწყობოდა ღრმა და ტყით დაბურული ხეობა. დარგოსა და უღელტეხილ შორის ეს ტყიანი და ღრმა ხევი სძევს.

უკანასკნელ უღელტეხილიდან, სადაც რუსები ავიდნენ 6 ივლისს, მოსჩანდა უღრანი, დაბურული ტყე და ტყის შუაგულში პატარა ველ-მინდორი. აქ, ამ ველ-მინდორზედ შამილს თვისი ბანაკი დაეცა.

სამხედრო და საომარი გეგმა იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა და შამილისა სისრულეში იქმნა მოყვანილი: გრაფი ვარანცოვი ჯარით შამილის სამფლობელოს შუაგულში შევიდა, ხოლო შამილმა რუსები შეიტყუა იქ, სადაც უნდოდა.

გრაფ ვარანცოვს თან ახლდა ბრწყინვალე ახალგაზრდობა, რომელიც სახელისა და დიდების მოსახვეჭად დაიძრა პეტერბურგიდან შამილთან საბრძოლველად. ფუფუნებაში აღზრდილნი ლაშქრობას ისე უცქეროდნენ, როგორც სასიამოვნო გასეირნებას და სრულიადაც არ მოელოდნენ, რომ გაჭირვებას იხილავდენ კავკასიის მთებში. ცოდნით მარტო ის იცოდნენ ამ ქვეყნისა — რომ ლერმონტოვმა და პუშკინმა შეამკეს კავკასიის მთანი მშვენიერის ლექსებით.

აი სწორედ ამ ბრწყინვალე ახალგაზდობამ აღარ მოუცადა საერთო იერიშის ნიშანს და ბატონიშვილ ალექსანდრე გესსენელის მეთაურობით მოჰქუსლა შამილის ბანაკისკენ, შეიჭრა ცხენ და ცხენ ერთ ხერგზე და მისვლის უმალ აიღო იგი.

მამაცმა და ვაჟკაცურმა შეტევამ და მისევამ მტერზე დიდად გაამხნევა რუსის მხედრობა. გენერალი ბელიავსკიც დაიძრა ლიტვის ბატალიონით და ქართველთა მილიციონერებით ბრძოლის ველისკენ. ღიმილითა და ოხუნჯობით შევიდა რუსის მხედრობა დაბურულსა, ხშირსა და ჩამობნელებულ ტყეში. გამხიარულებული მხედრობა ჩინჩხვარსავით ამტვრევდა მტრის ხერგებს და დაუბრკოლებლივ წინ მიიწევდა.

კარგ გუნებაზე მოსულ რუსის ჯარის წინ გადიშა-

ლა მშვენიერი არგუნის ხეობა, უცნაურად განათებული შებინდებისას. ნათელი დარგოდან მოდიოდა. სატახტო და საიმამო ბინაც არ დაინდო შამილმა და ცეცხლი წაუკიდა დარგოს.

რუსის მხედრობას მაინც და მაინც იაფად არ დასჯდომია ხერგების ზედიზედ აღება და გამარჯვებით წინ სვლა. მტერმა სასიკვდილოთ დაუჭრა გენერალი ფოკი. გრაფ ვორონცოვის ახალგაზდა ადიუტანტს დონდუკოვ-კორსაკოვს ფეხში მოარტყეს ტყვია *

დარგოს ასაღებად გრაფმა ვარანცოვმა გაგზავნა გენერალი ბელიავსკი ორის პატალიონით და ორის ქართველთა დრუჟინით. ცეცხლ-მოკიდებული დარგო რუსებმა და ქართველებმა ადვილად აიღეს. დანარჩენი რუსის მხედრობა დარგოს ავიდა იმავე საღამოს და დაბინავდა მის გარემო.

ამ გვარად გრაფმა ვარანცოვმა დაიპყრო ძაძილის სატახტო ბინა დარგო და მაშასადამე სავსებით შეასრულა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანება. შამილის წადგომი სახლი, მეჩეთი, თოფხანა და ზოგი სხვა შენობა ცეცხლის ალმა შთანთქა. ვარანცოვს ისღა დარჩენოდა, რომ სამშვიდობოში დაბრუნებულიყო საცეროომონიო მარშით.

მაგრამ ბედმა სულ სხვა ინება. რუსებმა რომ თვისი საომარი გეგმა შეასრულეს, ჯერი ახლა შამილის გეგმის ასრულებაზე მიდგა.

წინასწარ დამარცხების შემდეგ შამილს თავი ისე ეჭირა, თითქოს გამარჯვებული იგია და არა გრაფი ვარანცოვი. სულის დაცემისა ნიშანიც არ ემჩნეოდა მთის არწივს. ომი ახლა იწყობაო, ეუბნებოდა შამილი თავისიანებს და მახლობელთ, ვნახოთ რუსები როგორ გაიტანენ თავიანთ ძვლებს იჩკერიის ტყეებიდანო. თითქოს

---

*) ეს ის დონდუკოვ-კორსაკოვია, რომელიც დიდის მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძის შემდეგ მთავარ-მართებლად იყო საქართველოში.

არაფერი მომხდარაო, თითქოს დარგო ძველებურად ხელუხლებელია, ისე არხეინად ეჭირა თავი შამილ-სა. რუსების თვალ წინ შამილი სწვრთნიდა რუსთა გამოქცეულ სალდათებისაგან შემდგარ ბატალიონს და საცერემონიო მარშით აატარ-ჩაატარებდა ხოლმე ამ ბატალიონს.

დარგო ხომ რუსის მხედრობამ დაიჭირა და დაბანაკდა, მაგრამ მის მიდამოებში ფაცი-ფუცი არა წყნარდებოდა. ეს უცნაური ფაცი-ფუცი კარგს არას მოასწავებდა ჩვენთვისაო, ბრძანებს ისტორიკოსი. შამილს ახალ-ახალი რაზმები მოსდიოდა საჩაჩნოდან და რგოლივით გარს ევლებოდნენ ხაფანგში მომწყვდეულ რუსის მხედრობას.

დიდის ხნით გაჩერება გადამწვარსა და გადაბუგულ დარგოში შეუძლებელი იყო, რადგან სურსათი სრულებით გამოელიათ რუსებს, ადგილობრივ კიდევ არაფრის მოხერხება შეიძლებოდა. უკან დაბრუნება ანდიით, იმ ტყის გზით, სადაც ექვს ივლისს ფიცხელი ბრძოლა გამოიარეს რუსებმა, უხერხული იყო, რადგან ამ გზით სიარული დამარცხებულის გაქცევას ემგვანებოდა. მეტი ჯანი არ იყო, ისევ წინ უნდა წასულიყვნენ და აერჩიათ ს. გერზელის გზა, რომლითაც დაბრუნდა 1842 წელს ძალზე დამარცხებული გენერალი გრაბბე.

გრაფ ვარანცოვმა გერზელის გზა აირჩია და გადასწყვიტა ამ გზით შინ დაბრუნება, მაგრამ ვიდრე ჯარი აიყრებოდა და შინისაკენ პირს იბრუნებდა, საჭირო იყო დარგოში დარჩენა რამდენიმე დღით, სანამ ანდიიდან სურსათს მოაშველებდნენ.

10 ივლისს 1845 წელს გამოჩნდა ანდიის მხრიდან სასურველი ტრანსპორტი სურსათით. ტრანსპორტს თან ახლდა ძლიერი რაზმი თ. ვ. ბებუთაშვილისა. დიდი გამოცანა არ იყო საჭირო იმისი, რომ შამილი უვნებლად არ გაუშვებდა ბებუთაშვილის რაზმს, ჩაუსაფრდებოდა დარგოს დაბურულ ტყეში და ეცდებოდა სურსათის წართმევას, რომ რუსები შიმშილით გაეწყვიტა. ამის გამო გრაფმა ვარანცოვმა წინ მიაგება მთელის თვისის მხედ-

რობის ნახევარი გენერალ კლიუგენაუს უფროსობით. კლიუგენაუს რაზმის ავანგარდს წინ უძღოდა მამაცი და მთიელებთან ომში გამოცდილი და მეტის-მეტად მხნე გენერალი პასსეკი.

ისტორიკოსი ესაძე ასე აგვიწერს სიტყვა-სიტყვით ამ უბედურს ლაშქრობას გენერალ კლიუგენაუს რაზმისას. რაზმი დაიძრა დილა ადრიან და შეჰყო თუ არა თავი დაბურულ ტყეში, კანტი-კუნტად გაისმა თოფის სროლის ხმა. მოწინავე ბატალიონი მიდიოდა წინ, მაინც და მაინც დიდ დაბრკოლებას არავინ უჩენდა. აქა-იქ თუ შეეხეჩებოდა ხოლმე მტრის პატარ-პატარა ჯგუფებს, თოფის სროლით იგერიებდა და გზას ისე იკვალავდა. ბატალიონი მიადგა ვიწრო, პატარა ბილიკს, რომელიც აერთებდა ორ დიდ ხევს. პასსეკს ეგონა, ალბად ბილიკი ჩახერგილი იქნებაო, ბაგრამ ჩახერგისა არაფერი ეტყობოდა იქაურობას.

გენერალი პასსეკი ხმალ-ამოღებული მიუძღოდა წინ თავის ბატალიონს და „ურას“ ძახილით გადიჭრა ხევის მეორე ნაპირზე. საოცარი ის იყო, რომ მთიელებმა მარტო ორჯერ-სამჯერ თუ ესროლეს თოფი პასსეკის რაზმს, იმის მაგიერ რომ ესარგებლნათ ვიწრო ბილიკით და სეტყვასავით დაეყარათ ტყვია-წამალი.

ომში გამოცდილ პასსეკს გულმა კვნესა დაუწყო. ხის ტოტების ლაწა-ლუწი ისმის, თოფის სროლა კი არ ისმისო. მთიულები დიდის ოსტატობით სარგებლობენ ხოლმე მუდამ ჟამს მოხერხებულის ადგილ-მდებარეობით, თავს ესხმიან რუსებს,—და ახლა რა დაემართათო, ჰფიქრობდა თავის გულებაში პასსეკი. განა ამისთანა მოხერხებულ მდებარეობას თავზე დასასხმელად, როგორიცაა ეს ვიწრო გადასავალი, ხიდსავით გადებული ორ ხეს შუა, ბევრს იპოვნიან შამილის მხედარ-მეომარნი?

ყველაფერი მალე გამოირკვა, შამილმა განგებ მისცა პასსეკს საშუალება უბრძოლველად გადასულიყო ხევის მეორე ნაპირზე. რაკი პასსეკი გადიტყუა მეორე ნაპირას, შამილი მთელის თავისის ძალ-ღონით თავს დაე-

ცა გენერალ ვიკტოროვის უკანა რაზმს. როდისაც გენერალ ვიკტოროვის არიერგარდი გაება ჭაობიან და მოლიპულ ხევის ფერდობებში და როდესაც საცალოებ აკიდებული ჩალვადრის ცხენები წეროებსავით გაიჭედნენ. სწორედ მაშინ მიწის მგლებსავით გამოხტნენ ჩასაფრებული მთიელნი და მიესივნენ ყოველის მხრიდან. ხმლითა და ხანჯლით დაუწყეს დუმასავით კეპვა მოულოდნელობისაგან ელდა ნაკრავ რუსებს. ენით გამოუთქმელი და კალმით აუწერელი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ამბობს ისტორიკოსი. გაჰქრა დანდობა და შეწყალება. გაბოროტებულმა და გააფთრებულმა მთიელმა ზედ დაანთხია თვისი ნაღველი გონება-დაბნეულ რუსის მხედრობას და თითქმის სავსებით გასწყვიტა ვიკტოროვის არიერგარდი. მოჰკლეს გენერალი ვიკტოროვი, პოლკოვნიკი კრივოშეინი. ცოცხალნი ვერც დანარჩენი აფიცრები გადარჩნენ. სურსათის მისაღებად გამზადებული ცხენები საცალოებით შამილმა წაასხა.

თვალით მნახველი ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტისა მილიციონერი, თუში ღვთისავარ ცისკარაშვილი, პაპა ლევან ცისკარაშვილისა, ცოტა სხვანაირად უამბობდა თურმე რუსების გაჟლეტის ამბავს მეზობლებს, თავისიანებს, შვილებსა და შვილი-შვილებს. სამწუხაროდ მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ დანამდვილებით ვერ გადმოგვცეს, გენერალ ვიკტოროვს შეეხება ცისკარაშვილის მოთხრობა, თუ პასსეკს.

აი რას მოუთხრობდა მოხუცი, ათას ჭირს გამოვლილი მილიციონერი ღვთისავარ შთამომავლობას: რუსის ჯარი, ხიშტებ-გაშვერილი და „ურას“ ძახილით შეიჭრა ერთს ფიჩხითა, ხის ტოტებით და კუნძებით ჩახერგილ ადგილშიო. საიდგანღაც ხერგიანს ადგილს ცეცხლი გაუჩნდა, საშინლად იფეთქა რაღაცამ და ალი ავარდაო. კვამლსა და ჯანყში გაეხვია ჯარი, გაშტერდა და ადგილიდან ველარ დაიძრა, ვერც წინ მიდიოდა და ველარც უკან დაიხია. გაშვერილი ხიშტები ხელში მაგრად ეჭირათ და ძირს დაღებას ველარ ახერხებდნენო. ეტყობა შა-

მილს ფიჩხისა და კუნძების ქვეშ თოფის წამალი ბლომად დაეწყო და სწორედ ამ წამალმა იფეთქა, ცხელი ტყვია რომ მოხვდაო.

გაშეშეული, ხიშტებ წინ გაწვდილი ჯარი კარგა ხანს იყო გაჩერებული ერთ ალაგას და ბოლოს მორთო გულშემზარავი საქონლისებური ბღავილიო. სწორედ ამ დროს მისცვივდნენ ლეკები და დაუწყეს ჩეხა ხმლითა და ხანჯლებითაო.

გენერალი რომ დავინახე სხვებსავით გაშტერებული, მივვარდი და ხმა მაღლა მოვახსენე—რას გაჩერებულხართ, გაეცალეთ ამ ჯოჯოხეთსაო. რადგან გენერალი არ იძროდა, ვსტაცე ხელი და წამოვიყვანე ძალით, მავრამ უკან გამობრუნებულს ტყვია მოხვდა და ხელში მომიკლესო.

სწორედ იმ დროს, როდესაც ჩახერგილმა ადგილმა იფეთქა და გაშტერებული ჯარი ბღაოდა, ეახლობელ მთის სერზე გამოჩნდა თვით შამილ თეთრ უმტვერო დოლბანდით მობურვილი. გძელ ლეჩაქს დოლბანდისას ნიავი არხევდა და უცნაურ სურათს აძლევდა ახოვან ტანის პატრონს შამილსაო. ახალგაზდა ქალთა გუნდნი გარს ეხვია იმამს და საამურ სიმღერებს ამბობდნენო. ქალთა სიმღერა ვაჟკაცობას უორკეცებდა მთიელებს, ჰმატებდა გულადობას და ისეთის თავგამოდებით იბრძოდნენ, რომ მე ბევრის მნახველს ამის მზგავსი არა მინახავს რაო *).

ღვთისავარ ცისკარაშვილის მოთხრობა მეტად საყურადღებო და თან საოცარია. უბრალო მომაკვდავი, უბრალო კაცის შთამომავალი რომ ყოფილიყო შამილ, იმისთანა საარაკო სამხედრო ხერხს ვერ მიმართავდა, როგორსაც მიმართა შამილმა ჯარის კაცთა გასამხნევებლად. ამ გვარი ხერხი და ოინი ხვედრია დიდ ბუნებო-

---

*) ეს ამბავი გადმოგვცა ივ. ბუქურაულმა.—თუშეთი სავსეა ასეთის საგმირო ამბებით. ურიგოს არ იზამენ ჩვენი ნასწავლი მთიულნი, რომ ჩასწერდნენ ამგვარ ამბებს და გაამდიდრებდნენ ქართულ მოთხრობითს ლიტერატურას.

ვან სარდლისა, დიდის ჭკუა-გონების ადამიანისა და ადმინისტრატორისა. უბრალო მთიელი, უბრალო ჯარის-კაცი, თვით სამაგალითო და შეუდარებელი მეომარიც რომ იყვეს, ვერ ჩაიდენს იმას, რაც მოიქმედა შამილმ. 10 ივლისს 1845 წელს დარგოს ბრძოლაში. აშკარად სჩანს, რომ შამილის სისხლი ნარევია. მის ძარღვებში ალბად სჩქეფდა სისხლი ისეთი მამისა, ვისი წინაპარნი, ან თვითონ მამა ჩვეულნი იყვნენ ქეყნის ბატონობას და გამგეობას.

მოწინავე რაზმის უფროსმა გენერალ პასსეკმა ვიკტოროვის რაზმის გაწყვეტის ამბავი გაიგო სიკვდილს გადარჩენილ ჯარის-კაცებისაგან. რაკი საქმეს ალარა ეშველებოდა რა, პასსეკი თავის გზას დაადგა და გასწია თ. ბებუთაშვილისაკენ.

სალამოს, პასსეკი რომ დაბანაკდა და ცეცხლი გააჩინეს ჯარის-კაცებმა, აქეთ-იქიდან გულშემზარავი ხმა მოისმოდა: „კურინელებო, ყაბარდოელებო, ნავაგელებო, ქართველებო, აქ, აქეთ მოდით!“ გზა-დაბნეული ვიკტოროვის რაზმის სალდათები თურმე ბნელაში დაყიალობდნენ და ამხანაგებს ეძებდნენ. რუსები რომ ამ ცეცხლში იყვნენ, მთიელები მხიარულობდნენ გამარჯვებას, თოფებს აცლიდნენ, მღეროდნენ და ხმა მაღლა ლოცვებს ამბობდნენ. ახალ-ახალ ხერგებსაც ბლომად აკეთებდნენ. გათენებამდის ცულების კაკა-კუკი არ შეწყვეტილა.

მეორე დღეს პასსეკმა რის ვაივაგლახით შეადგინა სურსათისა და სამხედრო მასალის ტრანსპორტი და გაემართა დარგოსაკენ. წინა რაზმის უფროსობა ისევ თვითონ იკისრა, ხოლო არიერგარდი ჩააბარა პოლკოვნიკ რონჟევსკის.

ჭოჭიანი ხეობა, სადაც ვიკტოროვის რაზმი გასწყვიტა შამილმა, სავსე იყო გახრწნილი გვამებით. ელდა ეცა პასსეკს და მის რაზმს ეს საშინელი სურათი რომ იხილეს. მიადგა თუ არა პასსეკი ამ საბედისწერო ჭოჭიანს, უცბად იგრიალა თოფებმა და ხელახლა დაიწყო ხოცვა,

ელეტა რუსებისა. მამაცი პასსეკი ქორივით შეიჭრა ბრძოლაში, იქ, სადაც რუსები მატლსავით ისრისებოდნენ, მაგრამ ტყვიამ გაუგმირა გული და პირაღმა დაეცა დედამიწაზე. მოჰკლეს აგრედვე პოლკოვნიკი რონჟევსკი და მომეტებული ნაწილი აფიცრობა. თვით პასსეკის გვამი უკვალოდ დაიკარგა. თურმე ჯარის-კაცნი ღამ-ღამე დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად გვამის საძებნელად, მაგრამ ამაოდ. ტყუილ-უბრალოდ საცოდავნი სიცოცხლეს სწირავდნენ და საქმეს კი ვერას შველოდნენ. საყვარელ ალარდლის გვამი ვერ იპოვნეს.

დადგა საშინელი, კრიტიკული წამი რუსებისათვის. შამილს შეეძლო სავსებით გაეწყვიტა რუსის მხედრობა და თვით მთავარსარდალი გოაფი ვარანცოვი ტყვედ წაეყვანა. ასეთს გაჭირვებაში რომ ჩავარდა ვარანცოვი, მისწერა მარცხენა ფრთის უფროსს გენერალ ფრეიტაგს— შეჰკრიბე ჯარი და გამოეშურე საშველადაო. ეს ბრძანება ხუთის სხვა და სხვა გზით გაუგზავნა ფრეიტაგს, რა არის, ერთ-ერთი შიკრიკი მაინც გადარჩება ცოცხალი და ფრეიტაგთან უვნებელი მივაო. თ. ბებუთაშვილს-კი შეატყობინეს—დაბრუნდი თემირხანშურაში და თან წაიყვანე რაც ანდიასა და გუმბეთში ჯარია გაბნეულიო.

დილის 4 საათს, 13 ივლისს გრაფი ვარანცოვი დაიძრა შინისაკენ. რომ უფრო სუბუქად ეელო ჯარს, გრაფმა ბრძანა—მძიმე არა წამოიღოთ რა თან და ყველაფერი გააფუჭეთო. პირველი მაგალითი თვითონ მისცა ჯარს და დააწვევინა მთელი თვისი ძვირფასი ბარგი.

14 ივლისს რაზმი მიადგა სოფელ შუანისს. შამილმა წინ უყელა რუსებს, მაგარი პოზიცია დაიჭირა გურდალის მთა-გრეხილზე და შეუკრა გზა. რუსების გასავლელი გზა ხერგებით აავსო შამილმა და მათი აღება უკანასკნელ ძალას ულევდა რუსის მხედრობას. მოწინავე რაზმს უფროსობდა მელლერ-ზაკომელსკი და გრაფი ბენკენდორფი.

რაზმი მიიწევდა წინ ვიწრო ბილიკით დიდის გაჭირვებით. გზა-გზა მტერი მოსვენებას არ აძლევდა და სეტ-

ყვასავით ტყვიას აყრიდა. ამას გარდა დიდად უჭირვებდა საქმეს აუარებელ დაჭრილ-დაკოდილთა პატრონობა და საკაცეებით ტარება. ხელს უშლიდა აგრეთვე ათის ზარბაზნის თრევა, რომლებითაც ველარ სარგებლობდნენ. რადგან ყუმბარები დიდი ხანია გამოლეული იყო.

ჯარი თოვლსავით დნებოდა და იტანჯებოდა მიმშილით და ავადმყოფობით. აფიცრობა ილეოდა. დაიჭრა ნძინედ ბენკენდორფი; ჭრილობა მიიღეს ნავაგინის პოლკის კამანდირმა პოლკოვნიკ ბიბიკოვმა, პოლკოვნიკ ზავალიევსკიმ, მილიციის აფიცერმა თ. ერისთავმა, საგენერალო შტაბის აფიცრებმა: შტაბს-კაპიტნებმა: გრაფ გეიდენმა და ბარონ დელვიგმა; პორუჩიკმა ლონგინოვმა და გრაფ დე-ბალმენმა.

ჯარის-კაცნი ისე დაოსდნენ, რომ მოძრაობის თავი აღარა ჰქონდათ და დედა-მიწაზე ცვიოდნენ პანტასავით. ადიუტანტმა მოახსენა ვარანცოვს, ჯარს მოძრაობა აღარ შეუძლიანო. ბევრს ეცადნენ ლიდერსი, გურკო და ბელიავსკი, მაგრამ ველარა გააწყესრეო.

ჯარის უფროსებმა თათბირი მოახდინეს და გადასწყვიტეს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, სარდალი უნდა გადავარჩინოთ ცოცხალი და უშიშარ ადგილს გავიყვანოთო.

ადიუტანტმა რომ მოახსენა გრაფ ვარანცოვს ასეთი გადაწყვეტილება ჯარის უფროსებისა, სარდალმა გულ დამშვიდებით უპასუხა: უბედურება ჯერ შორსაა... ჩამოუარა მიწაზე გართხმულ სალდათებს და გაამხნევა სიტყვით. ტკბილ სალამის შემდეგ ვარანცოვმა იძრო ქარქაშიდგან ოსმალური კაუჭა ხმალი და გაჰქანდა ხერგებისაკენ. ამის დანახვაზე იხუვლა ჯარმა და უკან ვაჰყვა საყვარელ სარდალს, რომელიც ჯართან ერთად იტანდა ათასგვარ გაჭირვებას. გამხნევება და აღფრთოვანება ისეთი ძლიერი იყო, რომ ასე გასინჯეთ მედუქნე-მარკიტანტები და ჩალვადრებიც კი გამოეკიდნენ უკან ჯარს და წინ გაუსწრეს ვარანცოვს. გამხნევებულმა ჯარმა იერიშით აიღო ხერგი, მტერს დააცლევინა პოზიცია,

მაგრამ გრაფმა ვარანცოვმა ისიც კარგად დაინახა, რომ ეს უკანასკნელი აფეთქება იყო სიმხნევე-მამაცობისა. ამიტომ სარდალმა გადასწყვიტა ფეხი აღარ მოეცვალა ადგილიდან, ვიდრე ფრეიტაგი არ მოვიდოდა.

გულის გასაკეთებლად ჯარს ასეთი ბრძანებით მიმართა გრაფ ვარანცოვმა: „ყველანი ვხედავთ, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდა ჩვენი რაზმი. გარს გვახვევია გამარჯვებით აღფრთოვანებული უთვალავი მტერი. დაჭრილ-დაკოდილთა რიცხვი 1500 კაცს აღემატება. სასმელ-საჭმელი აღარ მოგვეპოვება. ყუმბარები თითქმის აღარ დაგვრჩა. შეუძლებელი გახდა წინ წასვლა. შეიძლება გაუსხლტეს მტერს ღამის წყვდიადში მცირეოდენი რიცხვი ჩვენებისა და სამშვიდობოში გავიდეს. მაგრამ მაშინ თავი უნდა დავანებოთ და ღვთის ანაბარად დავსტოვოთ დაჭრილ-დაკოდილი ჩვენი ამხანაგები. რაღა თქმა უნდა, ჩვენთაგანი ვერავინ იკისრებს ჩაიდინოს ასეთი შეუწყნარებელი ცოდვა. მე ხომ ფიქრადაც არ მომივა ჩავიდინო ასეთი ცოდვა.

საქმე არც ისე ცუდათაა, რომ ყველაფერი დაკარგულად ჩაითვალოს. კაცები გავუგზავნე გენერალ ფრეიტაგს და ვაცნობე ჩვენი გაჭირვება. ყველას მოეხსენება, რა სარისტიანი გენერალია ფრეიტაგი. დარწმუნებული ვარ, რომ გენერალი ფრეიტაგი დაგვიხსნის გაჭირვებისაგან. მაგრამ თუ გვიწერია ბედისაგან სიკვდილი, დავიხოცნეთ როგორც შეჰფერის რუსებს. მტერს რომ არაფერი ერგოს ჩვენის ქონებიდან, კარვები და საცვლები ნაჭრებად ვაქციოთ ჭრილობათა შესახვევად, ხოლო დანარჩენი ქონება გავანადგუროთო“.

ერთად ერთი იმედი ფრეიტაგი-ლა იყოო, ამბობდა თურმე გრაფი ვარანცოვი, შემდეგში რომ იგონებდა დარგოს ლაშქრობას. მე ჩემი თავი არ მენანებოდა. სირცხვილიცაა ჩემს ხანში და ჩემს ხელობაში სიცოცხლეზე ზრუნვა, მაგრამ გულს მიკლავდა დაკოდილთა მწარე ბედიო.

გრაფ ვარანცოვის ბანაკი სოფელ შაუხალ-ბერდის

ფერდობებს აეკრა. მდინარეს მეორე ნაპირს შამილის ბანაკი იყო და იქიდან სამის ზარბაზნიდან ყუმბარებს აყრიდა შამილ რუსების ერთ ადგილს და ისეთს გაპირვებას ითმენდნენ, რომ სამი კაცი ერთად ვერ იკრიბებოდა შამილის ყუმბარების შიშით. თვით ვარანცოვის კარავი თვალსაჩინო ადგილს იყო დადგმული და თუმცა აფიცრობა ემუდარებოდა, ნება მოგვეცით სხვა უშიშარ ადგილს დავდგათ თქვენი კარავიო, მაგრამ გრაფი არ ყაბულდებოდა. დამშვიდებით წვებოდა მოსაკეც ლოგინზე და კითხულობდა ახლად მიღებულ ინგლისურ გაზეთებს *) და სრულებით, ყურს არ აქცევდა, რომ შამილს ადვილად შეეძლო ნიშანში ამოეღო მისი კარავი და მიელეწჩოელეწა.

18 ივლისს, საღამოს 5 საათზე, სანიშნო შუშხუნამ შეატყობინა ვარანცოვის რაზმს, რომ „მხსნელი“ ახლომახლოა.

მეორე დღეს, 19 ივლისს, გენერალი ფრეიტაგი გაემართა ს. შაუხალ-ბერდისკენ, ხოლო აქედან ვარანცოვი აიყარა და ფრეიტაგისკენ გასწია. ერთი ორჯელსამჯერ ესროლეს რუსებს მთიელებმა და მერმე თავი დაანებეს და გაიფანტნენ. როდესაც ჯარები შეერთდნენ, გრაფმა ვარანცოვმა შესძახა თავის რაზმს: მოახსენეთ „ურა“ თქვენს მხსნელსა და სიცოცხლის მომნიჭებელსაო.

20 ივლისს გრაფ ვარანცოვის რაზმი დაბრუნდა ს. გერზელს, სადაც აღარაფერი შიში აღარ მოელოდათ.

ასე უბედურად გათავდა დარგოს ლაშქრობა, სადაც რუსებმა დაჰკარგეს 3031 ჯარის კაცი.

---

*) გრაფი ვარანცოვი რუსის ლონდონელ ელჩის შვილი იყო და ზედ-მიწევნით იცოდა ინგლისური ენა და ინგლისური ლიტერატურა. ოდესაში ყოფნის დროს, პუშკინის ლექსები რომ წაიკითხა, ასე დაახასიათა ვარსკვლავი რუსის პოეზიისა: უხეირო მიმბაძავია ბაირონისაო.

დარგოს ექსპედიციამ ჭკუა ასწავლა რუსებს და ამ დღიდან ხელი აიღეს დიდის რაზმებით შესვლაზე შუაგულ საჩაჩნოში და დაღესტანში და დაიწყეს ნაპირებზე სტანიცების მოწყობა, ტყეების გაჩეხა და ნელ-ნელა წინსვლა. ახალმა ტაქტიკამ სული შეეხუთა მთას და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უკანასკნელად ბაწრის წვერი მოსწია თ. ბარიათინსკიმ 25 აგვისტოს 1859 წელს გუნიბის მთაზე და მთის არწივი შამილი გალიაში გამოამწყვდია.

დარგოს ლაშქრობისათვის გრაფ ვარანცოვს უწყალობა იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა თავადის ღირსება.

ამ მცირე ისტორიულ ამბის უკანასკნელ კარში მკითხველს გავუზიარებთ ჩვენს მოსაზრებას, რომ მთის ბატონი შამილ, ეს შეუდარებელი იმამი დაღესტნისა, უბრალო ლეკი არ იყო. ჩვენ გვჯერა, რომ შამილის ძარღვებში სჩქეფდა ქართველის სისხლი, სისხლი იმ ერისა, რომელიც მიჩვეული იყო ბატონობას და მართვა-გამგეობის უნარიც ბევრჯელ გამოუჩენია სისხლით მორწყულ მრავალ-კარიან თავის ისტორიაში.

V

ვისი შვილი იყო შამილ?

საქართველოს ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი ალექსანდრე ირაკლის ძე იქნებოდა ასე 28—30 წლისა, შამილ რომ დაიბადა ს. გიმრაში.

„დაუძინებელი მტერი რუსის მთავრობისა ბატონიშვილი ალექსანდრე არწივივით თავს დასტრიალებდა და ამბოხების ჭიაკოკონას ამზადებდა. მოუსვენარი ტახტის მაძიებელი ხან ერევნის სახანოში ამოჰყოფდა თავსა, ხან თვით სპარსეთში, ხან დაღესტანსა და ლეკეთში, ხან ახალციხის საფაშოში. ყველგან, საცა-კი გაჩნდებოდა რუსეთის მოძულე ბატონიშვილი, სასურველი და სანეტარო სტუმარი იყო. მისი სტუმრობა და შფოთის ატეხა რუსის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ ერთი და იგივე

იყო, ასე ვსთქვათ სინონიმი. ეტყობა, ან ქართველი კაცის სახელს, ან ბატონიშვილ ალექსანდრეს რაღაც უცნაური, მიმზიდველი და ანდამატური ძალა ჰქონია. ამ დღეებში (1804 წელს) რუსის სამსახურის პოლკოვნიკ, ანწუხელ ლეკმა ღიმილითა და თავმოწონებით მიამბო, ბატონიშვილი ალექსანდრე დაღესტანს რომ ამოვიდოდა ხოლმე, ჩვენს ოჯახში თურმე დასდებდა ბინასაო. კარგად მახსოვს,—ბავშვობა-სიყმაწვილეში ზღაპარსავით მიამბობდნენ, თუ სად ისვენებდა და რომელ ოთახში იძინებდაო. დრო და ჟამმა თავისი გაიტანა. ალექსანდრეს ნადგომი ოთახები დაინგრა სიძველისა გამო. დაიფუჭა იმ ორი ხის ყუთიც, სადაც ბატონიშვილის ნივთები ელაგაო. ეს კი ლამაზად მახსოვს, რომ დიდის მოწიწებით და სიყვარულით ინახავდნენ ჩვენს ოჯახში ამ უბრალო ყუთებსა და უფრთხილდებოდნენ ნიშნად პატივისცემისა ძვირფასის სტუმრის ნაქონარ ნივთებსაო".*)

აქ მოყვანილი ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე ხშირი სტუმარი ყოფილა დაღესტნისა.

მაშასადამე სრულიადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახალგაზდა ბატონიშვილს, ჯანითა და ღონით სავსეს, ოცდა რვა, ან ოცდა ათის წლის უცოლშვილო ჭაბუკს კავშირი ჰქონოდეს რომელსამე ლეკის ქალთან და შედეგად ასეთის დროებით კავშირისა გასჩენოდეს შვილი დაღესტანში.

ჩვენი მთა თურმე დღესაც სავსეა სხვა და სხვა თქმულებით ალექსანდრე ბატონიშვილზე. ერთი ასეთი თქმულება საკუთარის ხელით დაგვიწერა სახელოვანმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ. ეს თქმულება შეეხება ალექსანდრეს რომანიულ შემთხვევას დაღესტანში და პირდაპირ ამტკიცებს, რომ ალექსანდრეს დაღესტანში შვილი ეყოლაო. აი თვით ეს ფშაური თქმულებაც. „პირველად,

---

*) იხ. ა. ფრონელის მონოგრაფია: „ამბოხება კახეთისა", გვ. 66—67.

როცა ბატონიშვილი ალექსანდრე გაიქცა და მტრობა გამოუცხადა რუსის მოავრობას, მიჰმართა მთას. ბატონიშვილს ყველგან უნდოდა მომხრეები ეშოვნა. ამ მიზნის მისაღწევად დაღესტანშიაც-კი იმყოფებოდა. ფშავისა ხომ ხშირი სტუმარი იყო, სადაც ნათლიდედები და ნათლი-მამები გაიჩინა. უამისოდაც ზოგიერთ ოჯახებთან ძლიერ დაახლოვებული იყო ბატონიშვილი. ერთი ამისთანა ოჯახი ხახა ქისტაურისა იყო, სადაც ერთხელ ქეიფობის დროს ბატონიშვილმა წარმოსთქვა თურმე: „ეჰ, მე იქნება ამოდენა ტანტალში უძეოდ მოვკვდე. თუმცა კი არც უძეო ვარ, მხოლოდ ის მენანება, რომ ჩემი თესლი დაღესტანში დარჩაო“.

ამ გვარი ხასიათის თქმულება სხვაც ბევრი დარჩენილა მთაში. ქართველ მთიელებში დღესაც ამბობენ, რომ დედა რომ გაუწყრებოდა შამილს, მობეზრებული მისის ცელქობით და ანცობით, წააყვედრებდა ხოლმე: არ დაცხრები, შე გიაურო და გურჯის შვილოვო!

იმის გამოსარკვევად თუ ვისი შვილი იყო მთის აღწივი შამილ, უბრალო ავარელ ლეკისა, თუ ალექსანდრე ბატონიშვილისა, საინტერესო მასალას გვაძლევს ერთი ხელთნაწერი, რომელიც გადმოგვცა კაპიტანმა ს. მ. ასათიანმა. სამწუხაროდ არა სჩანს—ვის შეუდგენია ეს ხელთნაწერი, ან როდისაა დაწერილი. არც კაპიტან ასათიანს ახსოვს, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში ეს საყურადღებო დოკუმენტი.

დოკუმენტი შეიცავს ექვს ფურცელს. პირველი ფურცელი ცარიელია, ზედ არაფერი სწერია, ხოლო მარტო მეორე ფურცლის პირველი კაბადონია სავსე ნაწერით. დანარჩენი ფურცელნი პირველისავით ცარიელია. ფურცელში ჩადებული ყოფილა რაღაც მცენარის დიდი ფოთოლი და მისი კვალი ატყვია ცარიელ ფურცლებს. უკანასკნელ ფურცლებზე რუსულად და ერთი სიტყვა ქართულად აწერია: „Въ Закатальскомъ округѣ въ с. Гюлюкѣ естъ Кошшь—гора—на ней церковь, а на большой горѣ есть дворецъ Тамары; у подно-

жья горы есть равнина Джори ჯორი.-

კაპიტანი ასათიანის სიტყვით, ეს საყურადღებო ხელთნაწერი აღმოჩენილა შემთხვევით „ქართლის — კავრებაში“.

აი თვით სიტყვა-სიტყვით თვით ხელთნაწერი. „გაგონილი კიზლიარსა და მოზდოკში სომხებიდამ და დაღისტანში კი ზოგიერთი მოხუცებული ლეკებიდამ.

როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი ძე ერეკლე მეფე მეორისა იყო დევნილი რუსთაგან, მაშინ იგი გარდაიხვეწა დაღისტანში, ავარში, სოფელს **სოკოლოს**, *) რომელიც არის ს. გიმრის მახლობლათ. ამ განდევნილობის ჟამში ალექსანდრემ, როგორც ეტყოლა ასაკოვანმა ვაჟკაცმა შეიყვარა რომელიმე ლეკის საშუალობით ერთი ლეკის, სახელად **დენგაუს** ცოლი. ქალი ლამაზი და მათ შეერთებიდგან დაიბადა **შამილი**, რომელიც განითქვა შემდეგ დაღისტნის იმამათ და შეიქმნა ძლიერ განთქმული რუსების მტერი. თვით დენგაუ იყო კაცი ძრიელ ლაღი და სუსტი ჭკუის. ხელობა იმისი იყო მხოლოდ წყლის ზიდვა საკიდრით მდინარედგან და არა მეტი ხელობა მას არ შეეძლო. მცხოვრები იყო ს. გიმრის. და როგორც ამბობენ არ შესძლებოდა მას სისუსტისა გამო შესრულება ცოლქრმობის წესისა.

P. S. ამასვე ამტკიცებს თავის წერილებში თანამედროვე შამილისა დოკტორი კობახიძე, რომელიც იყო მოზდოკელი ქართველი, სიმავრი თავად შაქრო დ. ხერხეულიძისა“.

მოზდოკის და ყიზლარის სომხობას კარგად ეცოდინებოდა შამილის შთამომავლობა, რადგან შამილ მათი სიძე იყო. რაღა თქმა უნდა რომ იმისთანა დიდებულ სიძის ამბავს, როგორიც იყო შამილ, დაწვრილებით გამოიძიებდნენ და გამოიკვლევდნენ სომხები. ულუხანო-

---

*) ეხლანდელ ავარიის ოლქში არის სოფელი სახელად ბოზოლო-კოლო, სადაც ითვლება 40 კომლი ავარელი. ცხადია, რომ ეს სოფელია დოკუმენტში მოხსენებული სოკოლო.

ვის ქალი ანნა, როგორც ამ ისტორიულ ამბავში იყო მოხსენებული, გახდა საყვარელი მეუღლე შამილისა და რა საკვირველია, რომ საყვარელ მეუღლეს შეეტყო შთამომავლობა თავის ქმრისა. ანნას შემწეობით კიდევ შამილის დაბადების საიდუმლო ძრიელ ადვილად გაიბნეოდა ყიზლარისა ლ. მოზდოკის სომხობაში.

ზემოდ მოყვანილ დოკუმენტში დასახელებული დოკტორი კობახიძე, მოზდოკელი ქართველი, რომელსაც ცალკე წერილები ჰქონია შამილის შესახებ, თავის დროს ცნობილი კაცი ყოფილა. არა გვგონია, რომ ეს განათლებული ადამიანი ბავშვურად მოჰპყრობოდა შამილის ჩამომავლობის ამბავს და ზღაპარი სინამდვილედ ალიარებინა. ურიგოს არ იზამენ, თუ [illegible] მემკვიდრენი და შთამომავალნი გამოაქვეყნებენ მის წერილებს, ან და გადასცემენ საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებას, სადაც შენახული იქნება 8-ნ ასათიანის დოკუმენტიც

გადაჭრით და კატეგორიულად ძნელია იმის დამტკიცება, რომ შამილ შვილია ბატონიშვილ ალექსანდრესი, მაგრამ თანახმად ყველა იმისა, რაც ამ ისტორიულ ამბავში ნათქვამია, ძრიელი საბუთი გვეძლევა ვსთქვათ, რომ იმამი დაღისტნისა, მთის არწივი შამილ იყო შვილი მამით ბატონიშვილ ალექსანდრესი. თვალთ სახის მეტყველება ორთავესი, შამილისა და ალექსანდრესი, მეტის-მეტად წააგავს ერთმანეთს. მაღალი, ახოვანი ტანი, შეპმუხნული შუბლი, დარდი და ვარამი, რომელიც საოცრადაა აღბეჭდილი ორივეს სახეზე ამტკიცებს მათს სიახლოვეს და ნათესაობას. ტუჩ მოკუმულ სახეს ბატონიშვილისას რომ აკვირდები, ჰფიქრობ რომ ამ ადამიანს ერთი ბედნიერი დღე არ უნახავს თვის ხანგრძლივ სიცოცხლეშია. ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს დაღვრემილი და დარდიანი სახე შამილისა.

დაწვრილებით შესწავლა და გამოძიება სამშობლო ისტორიისა და დაღისტნისა უეჭველია სავსე ნათელს მოჰფენს შამილის ჩამომავლობის საიდუმლოსაც.

პასუხისმგებელი გამოცემისათვის ხ. დოლიძე

გამოცემის ტექნიკური ხელმძღვანელი გ. თოიძე

გადაეცა წარმოებას 31. 10. 1990
ქაღალდის ზომა 60+84 1/16

შეკვეთა № 10
ტირაჟი 10 000

ფასი 2—90

გამომცემლობა „ხელოვნება"

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 179

1990

თბილპოლიგრაპროექტთან არსებული კოოპერატივი

„სინათლე" -90-